ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 27 მაისი, 2011 №124 (5505) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ „სერვანტესი“

8 ლარი

16 მაისიდან 30 მაისამდე




# დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას ვერავინ ჩაგვიშლის

გვ.3 სამხედრო აღლუმი სააკაშვილმა ჩაიბარა



## პოლიციამ არაპროპორციული ძალა გამოიყენა

გვ.2

ხელისუფლებას ქმედება სახალხო დამცველმაც დაუწუნა



## ნინო ბურჯანაძე – მაინც ამოვთხრი ამ ხელისუფლებას, ოღონდ მართლა

გვ.7

## ბალაფში თანამდებობას ტოვებს?

ვინ შეცვლის მას? ანქვაბი, ხაჯინბა თუ შამბა?



გვ.5

## 26 მაისის დარბევა ჯონ ბასის კისერზეა

გვ.7





გვ.6

## სააკაშვილმა 26 მაისი ჩაწიხლა



## სააკაშვილმა თავის ხალხს მრისხანების დღე მოუწყო

გვ.6



გვ.3

## ხელისუფლება ოპოზიციას მხოლოდ ძალის ენით ელაპარაკება

## აქციის დაშლის დროს ორი ადამიანი დაიღუპა

გვ.3



## ბურჯანაძე დარბევაზე შეგნებულად წავიდა



გვ.7

## რუსეთი საქართველოს ვეღარ დაიმონებს

გვ.4

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**3** ირაკლი ბათიაშვილი ტყვეობაში იმყოფება

**10** ყოველი წელი ახალი წესებით — რეგლამენტი ისევ შეიცვალა

**4** რუსებმა დოკუ უმაროვი ახმეტაში აღმოაჩინეს

**11** „მანჩესტერი“ ხმაურიანი ტრანსფერებისთვის ემზადება

შედით საიტზე atb.ge

## ხელისუფლებას ქმედება სახალხო დამცველმაც დაუწუნა

# პოლიციამ არაპროპორციული ძალა გამოიყენა

**26 მაისს პარლამენტის შენობის წინ პოლიციამ წყლის ჭავლით, გაზით და რეზინის ტყვიებით მომიტინგეები დაშლა. სპეცნაზი მომიტინგეებს ადგილზე აპატიმრებდა და მიწაზე ყრიდა. ერთჯერად ხელბორკილდადებული მომიტინგეები კი ყვითელი ავტობუსებით პოლიციის განყოფილებებში გადაჰყავდათ.**

ნათია ხურცილავა

სპეცნაზმა თავისუფლად მუშაობის საშუალება არ მისცა პრესის წარმომადგენლების ნაწილს. მათ შორის რამდენიმე ჟურნალისტი დააკავა კიდეც და პოლიციის სამმართველოში გადაიყვანა.

ნაცემია რამდენიმე ჟურნალისტი და დამტვრეულია რამდენიმე ტელეკამერა.

მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა გამართა.

სახალხო დამცველის ოფისი მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა და ფაქტებს აგროვებდა.

— მთელი ღამის განმავლობაში ჩემი წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, როგორც აქციის ტერიტორიაზე, ასევე ისინი იმყოფებოდნენ აქციის დაშლის პერიოდში. ორი მათგანი იმყოფებოდა კინოთეატრ რუსთაველში, როდესაც აქციის დაშლა მიმდინარეობდა. მთელი ღამის განმავლობაში უშუალოდ შევიდნენ და მოინახულეს არაერთი დაკავებული პირი თბილისის ნომერ მეორე დროებითი მოთავსების იზოლატორში. ასევე გვქონდა კონტაქტი სხვა იზოლატორებთან. აქციის შემდგ არაერთი პირი იქნა დაკავებული. გარკვეული ფაქტებით, რომელიც ჩვენ მოვაგროვეთ, როგორც აქციის მონაწილეებისგან, ასევე ჩვენი წარმომადგენლებისგან, ასევე გავრცელებული კადრები გვაძლევს საშუალებას, რომ წინასწარი შეფასება მივცეთ მოვლენებს. — განაცხადა გიორგი ტუღუშმა.

სახალხო დამცველის განცხადებით, აქციის დაშლისას დარღვეულ იქნა საერთაშორისო სტანდარტები და საქართევლოს კანონმდებლობა.

— ჩვენ მიერ მოგროვებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ დარღვეულ იქნა საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები აქციის დაშლისას, რამაც მთელ რიგ შემთხვევებში გარკვეულ პირთა უფლებათა დარღვევა გამოიწვია. არსებული ინფორმაციის თანახმად აქციის ვადებისა და გამართვის შესახებ აქციის ორგანიზატორების მიერ შესაბამისი გაფრთხილება გაცემული იყო მერიაში და აღნიშნული ვადა 25 მაისს ამოიწურა. ამის შესახებ აქციის მონაწილეები მერიის წარმომადგენლებმა გააფრთხილეს. შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონით დადგენილი წესით მათ შესთავაზეს ალტერნატიული ტერიტორია აქციის გასაგრძელებლად. თუმცა, ეს შეთავაზება არ იყო მიღებული აქციის მონაწილეების მიერ და აქცია პარლამენტის წინ გაგრძელდა. — აღნიშნა ტუღუშმა.

სახალხო დამცველი აცხადებს, რომ მიუხედავდ იმისა, რომ აქციის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი არსებობდა, პოლიციამ არაპროპორციული ძალა გამოიყენა.

სახალხო დამცველი აცხადებს, რომ მოქალაქეებს არ მიეცათ აქციის დატოვების მშვიდობიანი საშუალება.

ტუღუში აცხადებს, რომ სამართლადამცავების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენება აშკარა იყო იმ დროს, როდესაც მათ არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდნენ აქციის მონაწილეები.

— მიუხედავად იმისა, რომ აქცია გასცდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და არსებობდა აქციის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი პოლიციის მიერ არაპროპორციული ძალა იქნა გამოყენებული. რასაც ცხადყოფს როგორც გავრცელებული კადრები, ასევე ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია. ფიზიკური დაზიანება აქვს მიღებული აქციის არაერთ მონაწილეს. გარდა ამისა, მათ არ მიეცათ აქციის დატოვების მშვიდობიანი საშუალება. არაპროპორციული ძალის გამოყენება განსაკუთრებით აშკარა იყო შემთხვევებში, როდესაც სამართალდამცავები ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ და რიგ შემთხვევებში აკავებდნენ აქციის იმ მონაწილეებს, რომლებიც მათ არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდნენ, ან უკვე სამართლადამცავთა კონტროლის ქვეშ იყვნენ მოქცეული. — განაცხადა ტუღუშმა.

სახალხო დამცველმა პრესისთვის სამართლადამცავების მხრიდან მუშაობაში ხელის შეშლის ფაქტებზეც ისაუბრა.

— სამართალდამცავებმა რამდენიმე ჟურნალისტს აპარატურა დაუზიანეს. მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ასევე



გავრცელდა ინფორმაცია რამდენიმე ჟურნალისტის, ოპერატორის დაკავების შესახებ. ამ ეტაპზე უცნობია მათი დაკავების სამართლებრივი საფუძველი. მედიის ნაწილს მიეცა საშუალება პროფესიული უფლებამოსილების განხორციელების, თუმცა, ჩვენთ ხელთარსებული ინფორმაციით არაერთი ფაქტი იყო, როდესაც რამდენიმე ჟურნალისტი დააკავეს, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ასევე დაუზიანეს აპარატურა. ამ ფაქტებთან დაკავშირებით კონკრეტული მასალებია გავრცელებული. — აღნიშნა გიორგი ტუღუშმა.

სახალხო დამცველი მომხდარი ფაქტებიდან გამომდინარე მიმართავს მთავარ პროკურატურას, რომ სწრაფად მოახდინოს აღნიშნული ფაქტების გამოძიება.

გიორგი ტუღუში ყველა სამართლდამრღვევის პასუხისმგებლობის დაყენების ფაქტს ითხოვს.

— ყოველივე აქედან გამომდინარე სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სახეზეა დანაშაულის ნიშნები და მივმართავ მთავარ პროკურატურას რეკომენდაციით სწრაფად და ეფექტურად გამოიძიოს ყველა ფაქტი და დააყენოს ყველა სამართლადამრღვევის პასუხისმგებლობის საკითხი. სახალხო დამცველი ასევე მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით მისცეს საშუალება ყველა დაკავებულ პირს ტელეფონით დაუკავშირდეს ოჯახის წევრებს ან მათ მიერ შერჩეულ სხვა პირს, ასევე ისარგებლონ ეფექტური დაცვის უფლებით. — განაცხადა გიორგი ტუღუშმა.

სახალხო დამცველმა სამძიმარი გამოთქვა 26 მაისს განვითარებული მოვლენების დროს დაღუპული საქართველოს ორი მოქალაქის გამო.

სახალხო დამცველი აპირებს არაერთ დაკავებულ პირს შეხვდეს, მათ შორის იმ ჟურნალისტებს, რომელთა უფლებებიც აქციის დაშლისას დაირღვა, რომ მათგან მეტი ინფორმაცია მიიღოს მომხდართან დაკავშირებით.

სახალხო დამცველს და მის ოფისს დიდი სამუშაო აქვთ. აღნიშნული სამაშაოს შესრულების შემდეგ ახალი ინფორმაცია გამოიკვეთება, რომელზეც ტუღუში განცხადებას გააკეთებს.

# დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას ვერავინ ჩაგვიშლის

## სამხედრო აღლუმი სააკაშვილმა ჩაიბარა

ნათია ხურცილავა

აქციის მონაწილეების დაშლის შემდეგ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი აღლუმი რუსთაველის პროსპექტზე აღინიშნა.

აღლუმი მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა ჩაიბარა. 26 მაისს რუსთაველის პროსპექტზე განვითარებულმა მოვლენებმა აღლუმის გეგმაში კორექტივები შეიტანა.

საქართველოს ორი მოქალაქის დაღუპვის გამო გაუქმდა სუხიშვილების ცეკვა და ბათუმში დაგეგმილი კონცერტი.

რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდა ჯარის მთელი შემადგენლობა. რუსთაველის პროსპექტზე ჩაიარა ქართული წარმოების ჯავშანტრანსპორტიორმა „დიდგორმა", რომელიც საქართველოშია აწყობილი.

საქართველოს პრეზიდენტმა ჯარს, დიპლომატიურ კორპსუსს და იქ შეკრებილ საზოგადოებას მიმართა. თუმცა, მანამდე გუშინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.

— საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავის აღნიშვნის ჩაშლის მცდელობა იყო. დღევანდელი აღლუმის ჩაშლის, საბოტაჟის და მასობრივი არეულობის გამოწვევის. ჩვენთვის წმიდათაწმიდა ღირებულება არის სიტყვის თავისუფლება. პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეებს, მათ შორის მათ ვისაც აქვს კანონიერი მოთხოვნები ან უკმაყოფილება, ჰქონდეთ საშუალება თავისი აზრის გამოხატვის. საქართველოს ხელისუფლებისთვის თავისი პროტესტის გამოხატვის, მაგრამ იმას, რაც ბოლო დღეებში ხდებოდა სიტყვის თავისუფლებასათნ არაფერი საერთო არ აქვს. ამ პოლიტიკურ ლიდერებს თავის მცირერიცხოვანი ჯგუფებით სურდათ სწორედ სიტყვის თავისუფლებაზე და ქართულ დემოკრატიაზე ხელის აღმართვა. მათ სურდათ არა სიტყვის თავისუფლება, არამედ მათ სურდათ და სურთ ძალადობა და მსხვერპლი. როდესაც მათ ვერ მოახერხეს პოლიციასთან უშუალო შეტაკებაში მომხდარიყო მათთვის სასურველი მსხვერპლი, პირველებმა სწორედ მათ ლიდერებმა გაქუსლეს აქედან და გზაში რამდენიმე ადამიანს გადაუარეს. სამწუხაროდ, ორი მათგანი დაიღუპა. მინდა სამძიმარი გამოვუცხადო მათ ოჯახებს. მინდა ყველას გვესმოდეს, რომ უნდა ვიყოთ ფხიზლად. რადგან ეს პროვოკაციები მზადდება არა ქვეყნის შიგნით, ჩვენ გავუზიარებთ ყველა იმ ცოდნას ჩვენს ხალხს, რომელიც გაგვაჩნია. სამწუხაროდ, ბევრი ცუდი ინფორმაცია გვაქვს. — განაცხადა მიხეილ სააკავშილმა.



საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით საქართველოს დამოუკიდებლობა ეკუთვნის არა რომელიმე პარტიას ან პრეზიდენტს, არამედ მთლიანდ ქართველ ერს.

— საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა ეკუთვნის არა რომელიმე პარტიას, არა რომელიმე პრეზიდენტს, მინისტრს, დეპუტატს არამედ ის ეკუთვნის მთლიანად საქართველოს, მის წარსულს აწმყოს და მომავალს. ამ ზეიმის ჩაშლა იმისთვის უნდოდათ, რომ საქართველომ ვერ შეძლოს მსოფლიოს უთხრას, რატომ გვინდა თავისუფლება. იმისთვის, რომ შური იძიონ ჩვენს ჯარზე, რომელმაც სრულიად უთანასწორო ბრძოლაში 2008 წელს აგვისტოს დღეებში გმირული წინააღმდეგობა გაუწია ასმაგად აღმატებულ მტრის ძალებს. მათ უფრო დიდი ზარალი მიაყენა, ვიდრე ათწლეულების განმავლობაში მიუღიათ, რომელიმე ინტერვენციის დროს. ამიტომ იყო არჩეული საქართველოს შეიარაღებული ძალები და დღევანდელი დღე ჩვენი ქვეყნის ოკუპანტის სამიზნედ. ყველას თანაბრად გვეკუთვნის დამოუკიდებლობა და ყველანი დავდგებით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის. ვერაფერი ვერ ჩაშლის ამ დღის აღნიშვნას. უკან არ დავიხევთ, ჩვენ ვიქნებით ფხიზლად. ჩვენი ოკუპანტის, მტრის ყველანაირ პროვოკაციას ყოველთვის საკადრის პასუხს გავცემთ. — აღნიშნა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით საქართველოს კვლავ უპირისპირდება იმპერია, რომელიც ვერ ეგუება საქართველოს დამოუკიდებლობას.

— ჩვენ შევძელით, შევინარჩუნეთ ჩვენი დამოუკიდებლობა, არ დავთმეთ ეროვნული ღირსება მიუხედავად დიდი ზეწოლისა. ავაშენეთ ძლიერი ქართული არმია, რომელიც არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას იცავს, არამედ ცივილიზებული კაცობრიობის მხარეს ღირსეულად იბრძვის ტერორიზმის წინააღმდეგ მიმდინარე გლობალურ ომში. ჩვენი ერის განსაკუთრებული სიბრძნის და წინდახედულების შედეგია ის, რომ მყარად ვდგავართ იმ კურსზე, რასაც დასავლური, ევროატლანტიკური კურსი ჰქვია. ჩვენი საგარეო პოლიტიკური არჩევანი ურყევი და თანმიმდევრულია. ჩვენი გზი

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას ვერავინ ჩაგვიშლის

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ორიენტირებულია მხოლოდ დემოკრატიულ და თავისუფალ სამყაროსთან. ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფო სულ უფრო იძლიერებს პოზიციებს დასავლურ და ევროპულ ცივილიზაციაში. ცივილიზაციაში, რომელსაც ჩვენ ისტორიულად ვეკუთვნით. დამოუკიდებლდობის 20 წელი ერთდროულად ძალიან ცოტაა და ძალიან ბევრიც. დღეს აღარ ვართ იმ უფსკრულში, რომელშიც ვიყავით 20 ან 10 წლის წინ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია, სანამ ბოლომდე გავივაკებთ. უმუშევრობა, სოციალური პრობლემების მარწუხები არის. ჯერ ჩვენი სახელმწიფო ვერ ახერხებს თითოეული ჩვენი მოქალაქის კეთილდღეობის სათანადოდ უზრუნველყოფას. ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ ერთად, რომ გარანტირებულად ჩამოვაყალიბოთ სახელმწიფოს ურყევი დემოკრატიული ინსტიტუტები და შევქმნათ ცივილიზებული, ევროპული პოლიტიკური ტრადიცია. ჩვენი ქვეყანა ჯერ ისევ იბრძვის კუთვნილი ადგილის მოსაპოვებლად საერთაშორისო სისტემაში. — განაცხადა სააკავშილმა.

პრეზიდენტმა ქვეყნის ეროვნულ მიზნებზე ისაუბრა. როგორც ის აცხადებს, უმთავრესი მიზანი საქართველოს გამთლიანება და ტერიტორიების დეოკუპაციაა.

— ჩვენი უმთავრესი ეროვნული მიზანი საქართველოს გაერთიანებაა და სრული დეოკუპაცია. თითოეული ამ გამოწვევის მიღება ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს ტიტანურ ძალისხმევას საჭიროებს, მაგრამ ჩვენი ათასწლოვანი ისტორია, ჩვენი ეროვნული პოტენციალი ბოლო 20 წლის განმავლობაში დაგროვილი ცოდნა და გამძლეობა, გამოცდილება გვაძლევს იმას, რომ საქართველო აუცილებლად იქნება მთლიანი, რომ საქართველო იქნება წარმატებული, რომ საქართველო ყველაფრის, მტრის მიუხედავად საბოლოოდ გამარჯვებული. როგორი პროვოკაციებიც არ უნდა განხორიცელდეს, როგორი წნეხიც არ უნდა იყოს, როგორი შანტაჟიც, მუქარებიც არ უნდა იყოს, ყველა მხრიდან ზეწოლა და სხვადასხვანაირი ქმედებები არ უნდა განხორიცელდეს, საქართველო საბოლოოდ აუცილებლად იქნება თავისუფალი. — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა 15 ადამიანი, საქართველოს კულტურის და ხელოვნების მოღვაწეები.

მიხეილ სააკაშვილმა ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით სამი სამხედრო პირი დააჯილდოვა.

# ირაკლი ბათიაშვილი ტყვეობაში იმყოფება



„სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ბათიაშვილისა და მისი ცოლისძმის, თამაზ ფანჩულიძის ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობი რჩება. ბათიაშვილი მეუღლე მაია ბათიაშვილი აცხადებს, რომ მისი მეუღლე ტყვეობაში იმყოფება და გამოთქვამს ეჭვს, რომ „ალბათ ირაკლი ბათიაშვილის მონაწილეობით რაღაც შოუს დადგმა იგეგმება“.

— ირაკლის მონაწილეობით შოუს დადგმის საშუალებას არავის მივცემ. იგი ტყვეობაში იმყოფება. დადასტურებული ინფორმაციით, რომელიც სხვადასხვა წყაროდან მივიღე, იგი მოდულის შენობაში ჰყავდათ. ამჟამად მეუბნებიან, რომ ის იქ არ არის, — აცხადებს მაია ბათიაშვილი და არც იმას გამორიცხავს, რომ თავდაპირველად მოდულის შენობაში მიყვანილი ირაკლი ბათიაშვილი შემდეგ უკვე სხვა ადგილზე გადაიყვანეს.

— ალბათ, მზადდება პროვოკაცია, ჩვენთან სახლში რეკავენ უცნობი ადამიანები, პროვოკაციულ კითხვებს სვამენ და ამბობენ, რომ სადღაც ქუჩაში ნახეს. ათას რაღაცას ამბობენ და ეს სრულ საფუძველს მაძლევს, ვიფიქრო, რომ ირაკლის წინააღმდეგ პროვოკაცია მზადდება, — აცხადებს მაია ბათიაშვილი სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ სთან საუბარში.

**ათბ-ნიუსი**

# აქციის დაშლის დროს ორი ადამიანი დაიღუპა

ერთი პოლიციელი და აქციის ერთი მონაწილე, შს სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი დაიღუპნენ წუხელ ღამით აქციის დაშლის დროს. ეს განცხადება შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა დღეს გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

დაღუპულები არიან პოლიციელი ვლადიმერ მასურაშვილი და აქციის მონაწილე, ყოფილი პოლიციელი 54 წლის ნოდარ ცხადაძე.

მისი თქმით, სავარაუდოდ, ორივე შემთხვევაში ეს ადამიანები დაიღუპნენ მაშინ, როდესაც საქართველოს ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისა მისი მეუღლის ესკორტი აქციას ატოვებდა.

შოთა უტიაშვილის განცხადებით, ამჟამად საავადმყოფოებში 37 ადამიანი რჩება, მათ შორის ერთი ქალია, ერთი ჟურნალისტი და რვა პოლიციელი.

**ათბ-ნიუსი**

# ხელისუფლება ოპოზიციას მხოლოდ ძალის ენით ელაპარაკება

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილთან

***— ბატონო სოსო, საკმაოდ მძიმე ღამე იყო, მაგრამ, მოდით, მაინც შევაფასოთ ის, რაც გუშინ რუსთაველზე მოხდა. ბევრი ელოდა, რომ წავიდოდა ხელისუფლება დარბევაზე, მაგრამ, თუ ასეთ სისასტიკეს გამოიჩენდნენ, არავის ეგონა...***



— აქცია, რომელიც ჩაიფიქრა და განახორციელა საქართველოს პრეზიდენტმა, არავითარ შემთხვევაში არ ეტევა რაიმე ტერიტორიის გაწმენდის მცდელობაში აქციის მონაწილეთაგან. ეს გახლდათ სრულიად მკაფიო ჯალათების შემოსევა უიარაღო მოსახლეობაზე, რომელსაც გააჩნდა განსხვავებული აზრი და ამას მწვავედ გამოთქვამდა რამდენიმე დღის განმავლობაში. სამწუხაროა, რომ ადამიანები, რომლებსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ადამიანი, გამოკვებილი და ჩაცმულ-დახურულია იმ ფულით, რომელსაც თავად მოსახლეობა უხდის სახელმწიფო ბიუჯეტს. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ხელისუფლებას, რომელსაც პრეტენზია აქვს რაიმე ტიპის დემოკრატიის არსებობაზე ქვეყანაში, თავში მოუვიდოდა ოპერაციის ასეთი გეგმა, რომ ნაცვლად მონაწილეთა განდევნისა რუსთაველის გამზირიდან, მათთვის ალყის დარტყმა იქნებოდა მიზნად დასახული და უმოწყალოდ ცემა უამრავი ადამიანის, მათი დამცირება, შემდგომ სრულიად უსამართლო დაპატიმრება, რომელიც ასეულ ადამიანს შეეხო ჯერ კიდევ წინა დღეებში, გატაცებების ჩათვლით. კადრები, რომლებსაც ვუყურებთ ჩვენ, ოღონდ, რასაკვირველია, ამას მზაკვრობის ერთ-ერთი მთავარი თანამზრახველის, კომპანია „სილქნეტის“ მეშვეობით ამ კადრებს ვერ ხედავს თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც უკვე დანებდა „სილქნეტის“ მონოპოლიას. პირდაპირ კოშმარულ კინოფილმის მაყურებლად ჩათვლიდა უმალ თავს ადამიანი, რომელიც ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში აკვირდებოდა მოვლენებს, ვიდრე ცოცხალ მოწმედ იმისა, რაც ხდებოდა რუსთაველის გამზირზე და მიმდებარე ტერიტორიებზე.

***— როგორც ჩანს, ეს ყველაფერი წინასწარ კარგად დაგეგმილი და მოფიქრებული ჰქონდა ხელისუფლებას...***

— მე ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ხელისუფლების ოცნება, ოპოზიციურ მოსახლეობასთან ურთიერთობისთვის გახლავთ მხოლოდ ძალადობა, აჯანყება, რევოლუცია და, სამწუხაროდ, არც სამოქალაქო ომზე იტყვიან უარს, რადგან სხვა ურთიერთობა, მაგალითად, თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნები მიაჩნიათ ბევრად უფრო დიდ საფრთხედ მათი ძალაუფლებისთვის, ვიდრე ასე კარგად გაწვრთნილი ჯალათების მიერ რაიმე წინააღმდეგობის დაძლევის საფრთხე მომიტინგეთაგან. ამიტომ რევოლუცია და არა არჩევნები არის ჩვენი ხელისუფლების საოცნებო ფორმა პოლიტიკურ დისკუსიაში საკუთარ მოსახლეობასთან.

***— ჩვენს ხელისუფლებას მხოლოდ საკუთარ ხალხზე ძალადობა გამოსდის კარგად...***

— რასაკვირველია. ნეტავ სად იყვნენ ეს ვაივაჟკაცები 2008 წლის ზაფხულში, დღე-ნახევარში რომ შეწყვიტეს საქართველოს შეერთებულმა საჯარისო დანაყოფებმა, პოლიციამ, სპეცდანიშნულების რაზმებმა წინააღმდეგობა ქვეყანაში შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ?! თურმე არ ყოფილან გმირები, თურმე ლაჩრების ნაკრები ყოფილა, რომელსაც მხოლოდ ნიღბებითა და უიარაღო ხალხზე შეუძლიათ ასეთი ვაჟკაცობის გამომჟღავნება. ამიტომ ის, რასაც მოიმკის ხელისუფლება ამ ნაბიჯით, უთუოდ გამოჩნდება ადრე თუ გვიან და კონსოლიდაცია ქართველი საზოგადოების, რაც სიტყვით და მოწოდებით, პრაქტიკულად, ვერ მოხერხდა, მოხერხდება იმ მზაკვრობისა და ძალადობის ფონზე, რომელსაც ხელისუფლება მუდმივად სთავაზობს ჩვენს მოსახლეობას.

***— ეს იყო კიდევ ერთი მცდელობა, რომ რაც შეიძლება მეტად დააშინონ და დათრგუნონ საზოგადოება?***

— რასაკვირველია. ეს არაკომპეტენტური და მხდალი ადამიანის მიერ დაგეგმილი ოპერაცია გახლდათ, რომელსაც შიში უბნელებს თვალსა და გონებას, შიში საკუთარი ხალხის მიმართ და ეს ძალადობაც ავადმყოფური გამოვლინებაა იმ შიშისა, რომელიც მოიცავს უმალ ჩვენს ხელისუფლებას საპროტესტო აქციების დანახვისას, ვიდრე მზაობა იმისა, რომ გაიგოს, რა ხდება მის საკუთარ ქვეყანაში.

***— ბატონო სოსო, რა შედეგებამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი? ფაქტია, რომ დღეს დათრგუნულია საზოგადოება...***

— ჩვენს საზოგადოებას ჯერ საკუთარ თავში აქვს ბევრი რამ გასარკვევი. ამ სისხლიანი კალოს ველზე დღეს ვინც იმღერებს და იცეკვებს, იმას ნუ ექნება იმედი რაიმე პატივისცემისა ქართველი საზოგადოების მხრიდან.

***— წესით, ამ ყველაფრის შემდეგ არც აღლუმი უნდა გამართულიყო...***

— უზნეობის აპოთეოზია, რომ იმ სისხლიანი კარნავალის შემდეგ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა შესთავაზა საკუთარ მოსახლეობას, მიეახლო მას და მიულოცო მას ჩირის ფასად ღირებული თურმე დამოუკიდებლობა. ასეთი დამოუკიდებლობისთვის არავის არც უბრძოლია, არც უოცნებია და არც თითი გაუნძრევია ვინმეს. მიზანი, ქართველი იქნება წარმოშობით თუ რომელიმე მომხდური ერის შვილი, ამას რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისთვის. ვისი მოქნეული ჯოხი უფრო გამახსოვრდება, მტრისა თუ მოყვრის?! მოყვრად რომ მიიჩნევ და შენი ფულით რომ აფინანსებ ქართულ პოლიციას, ის რომ სჩადის ამას და ამავე დროს არის უტიფარი ტყუილები შოთა უტიაშვილის. თურმე 19 ადამიანი ყოფილა დაშავებული. ასე იცოდა ამ ადამიანმა ღამის სამი საათისთვის. არც ეს არის თავმოყვარე მამრის საქმე, რომ იცრუო მაშინ, როცა ყველამ იცის, რა ხდება, გარდა „სილქნეტის“ მაყურებლისა. ის ფაქტიც, რომ მაშინ როდესაც „მაესტრო“ მაუწყებლობდა და ამ თემით იყო დაკავებული, ყველა არხი, სახელმწიფო კონტროლის ქვეშ არსებული იყო დაკავებული აბსოლუტურად არაადეკვატური გადაცემებით. აი, ეს გახლავთ დღევანდელი ქართული დემოკრატია, რომელსაც სრულიად მკაფიო სულთამხუთავები ვნებენ, მაგრამ, ბუნების კანონია, რომ ყოველი ქმედება იწვევს უკუქმედებას.

***— შედარებებიც მოვისმინე, რომ ასეთი რამ 9 აპრილს რუსებს არ უქნიათ...***

— რასაკვირველია. ჯერ ერთი, 9 აპრილს საქართველოს ჰქონდა სახელმწიფოს ნიშნები. 26 მაისის გამთენიისას ასეთი ნიშანი არ იყო. მაშინ ქვეყანაში მთავარ მოქმედ პირად იქცა ჯანმრთელობის მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი. მაშინ ქართული სასწრაფო დახმარება იყო მართლა გადამრჩენი უამრავი ადამიანისა. დღეს კი, გავიდა უკვე ამდენი საათი ამ ფაქტის შემდეგ და ჩვენ არც ის ვიცით, რეალურად რამდენი დაზარალებულია, არც ის ვიცით, ვინ არის დაკავებული, რადგან აბსოლუტურად მოშლილია ჯანდაცვის სისტემა. ერთი სიტყვა არ დაუძრავს ჯანდაცვის მინისტრს, რა ხდება საავადმყოფოებში და სახელმწიფო მოხელეების ჩათვლით ყველა მანქურთად იქცა ჩვენი სასახელო პოლიციისა. ძალიან სამწუხარო ფაქტია. ჯერ ერთი, დაკავებულების სახელები და გვარები რომ მოიყვანო, იმ ადამიანების, რომლებსაც საქართველოსთვის ბევრად მეტი გაუკეთებიათ, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობას ერთად აღებულს. ვგულისხმობ იმ ღირსებას, რომელიც ქართველ ერს შესძინა იმ შესანიშნავ ხელოვანთა ჯგუფმა, რომელიც დღეს დაკავებული და ნაცემია. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ამ ეტაპისთვის, ისიც არ არის ცნობილი, სად გააქრეს უნიჭიერესი მსახიობი ზაზა პაპუაშვილი. ასეთ ვითარებაში რა ცივილიზაციის პრეტენზია აქვს ჩვენს ხელისუფლებას? ყოჩაღ ნაციონალური მოძრაობის თავკაცებს, რომლებმაც შესანიშნავი საინვესტიციო გარემოსა და ტურისტული გარემოს შესაქმნელად დაარწმუნეს პოტენციური ტურისტები და ინვესტორები, რომ სწორედ საქართველოში უნდა დაისვენონ და ისაქმიანონ. აფერუმ მათ ვაჟკაცობას!

***— ბატონო სოსო, ხელისუფლებას რომ თავი დავანებოთ, ე.წ. ოპოზიციაშიც აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებიც თითს ბურჯანაძისკენ იშვერენ და აცხადებენ, რომ ის თავად წავიდა პროვოკაციაზე. რამდენად სამართლიანია ასეთი განცხადებები?***

— თუ ხელისუფლება თვლის, რომ მას პროვოცირებენ, მაშინ ცოტა გონებას უნდა მოუხმოს. როგორც ჩანს, ამ მასალის დიდი დეფიციტია ხელისუფლებაში და მოქმედებენ ცნობილი რუსული მოდელით „სილა იესტ უმა ნინადა“. ამაშიც ვბაძავთ რუსეთს და ამაში სააკაშვილმა ნამდვილად აჯობა პუტინს. ასეთი წესით არაფერი დაუშლია პუტინს საკუთარ ტერიტორიაზე, რა საპროტესტო მუხტიც არ უნდა ყოფილიყო იქ. საუბარი იმის თაობაზე, რომ ბურჯანაძის პროვოცირებულია ეს ყველაფერი, უკაცრავად, მაგრამ იქ საბავშვო ბაღის მოწაფეებით არ ყოფილა დაკომპლექტებული აქცია. ჩვენი საპროტესტო აქციის მონაწილეთა საშუალო ასაკი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. არაბული ქვეყნების მაგალითზე, სრულიად სარწმუნო მონაცემების საფუძველზე, მკაფიოდ ვლინდება, რომ ამ ცხრა არაბული ქვეყნის საპროტესტო მუხტის საშუალო ასაკი გახლდათ 25 წელი. საქართველოში ხომ 50 წელზე მეტი იყო, უკეთეს შემთხვევაში, პროტესტის მატარებელი საზოგადოებისა. სხვა საკითხია, კარგია ეს თუ ცუდი და რა არის ამის მიზეზი, მაგრამ, როცა ხნიერ ხალხს ებრძვი ისე, როგორც მტრის შეიარაღებულ ძალას და ეს მიგაჩნია ვაჟკაცობად, ეს ხომ ავადმყოფური გამოვლინებაა და არც იმას გამოვრიცხავ, რომ ადამიანები, რომლებიც ჯალათებად მოევლინნენ რუსთაველის გამზირს, იყვნენ აჟიტირებული და გამძვინვარებული მედიკამენტური საშუალებებით.

***— როგორი იქნება საერთაშორისო საზოგადოების გამოხმაურება?***

— საზოგადოებას დასჭირდება, დაარწმუნოს კოლეგები უცხოეთიდან რეალობაში, რომელიც არსებობდა, რადგან სახელისუფლებო პროპაგანდისტული მანქანა მთელი ძალით შეეცდება, ყველაფერი მოაჩვენოს საკუთარ საზღვარგარეთელ კოლეგებს ისე, როგორც თავად მათ ეს სურთ. თუმცა, ვიდეოკადრები სხვაზე მეტყველებენ. ჩვენ ბედნიერნი ვართ იმით, რომ 26 მაისი, რომის პაპით დაწყებული, იაპონიის იმპერატორით დამთავრებული, ულოცავენ საქართველოს პრეზიდენტს დამოუკიდებლობას, მაგრამ დამოუკიდებლობა, დარწმუნებული ვარ, სულ სხვადასხვაგვარად ესმით მოლოცვის ავტორებსა და მოლოცვის ადრესატს. ამიტომ ამ მიმართულებით გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

შედით საიტზე atb.ge



# რუსეთი საქართველოს ვეღარ დაიმონებს

## ბურჯანაძე მოსკოვიდან იმართება

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი მიიჩნევს, რომ პოლიციას აქციის დაშლის აბსოლუტურად კანონიერი უფლება ჰქონდა, რადგან აქციის გაგრძელების სანქცია არ ჰქონდათ. გაბაშვილის თქმით, აქციის ორგანიზატორების არანაირი სურვილი არ იყო სიტყვის თავისუფლების გამოხატვა, მათი ინტერესი იყო დაპირისპირება.**



გოკა გაბაშვილი რუსეთისგან რაიმე ცინიკური განცხადების გაკეთებასაც ელოდება, თუ როგორი მნიშვნელოვანია რუსეთისთვის ადამიანის უფლებების დაცვა და აზრის გამოხატვის თავისუფლება.

„ახალი თაობა“ **გოკა გაბაშვილს** ესაუბრა.

***— მოხდა თუ არა ძალის გადამეტება აქციის დარბევის დროს?***

— ეს არ იყო აქციის დარბევა. ეს იყო აქციის დაშლა. პოლიციას დაშლის აბსოლუტურად კანონიერი უფლება ჰქონდა. ორგანიზატორებს არაერთხელ შესთავაზეს, აქცია შეეწყვიტათ, რადგან აქციის გაგრძელების სანქცია აღარ ჰქონდათ. მათ შორის, აქციის დაშლამდე მერიის წარმომადგენელი მივიდა რამდენიმე წუთით ადრე და წერილობითი მოთხოვნა გადასცა. ამ ყველაფერმა შედეგი არ გამოიღო. ამ ადამიანების სურვილი არ იყო არანაირი სიტყვის თავისუფლების უფლების გამოხატვა. მათი ინტერესი იყო დაპირისპირება, ამაზე ისინი დღეების განმავლობაში ღიად საუბრობდნენ. მათი ინტერესია ე.წ. რევოლუცია, სისხლისღვრა. ყველამ მოისმინა, როგორ საუბრობდნენ ისინი ადვილად 100-500 მოკლულზე, როგორ ადვილად საუბრობენ იმაზე, რომ ქართული მიწა სისხლით უნდა მოირწყას და რაზე ოცნებობენ? ოცნებობენ იმაზე, რომ კოჯრის ბატალიონი გაანადგურონ გრუ-ს სპეცრაზმის ძალებით.

***— ნინო ბურჯანაძისა და ანზორ ბიწაძის სატელეფონო ჩანაწერზე საუბრობთ, რომელიც შსს-მ გამოაქვეყნა?***

— კი. ამ ხალხთან გვაქვს საქმე. ეს არის პირდაპირ რუსეთიდან მართული ძალა, პირდაპირ რუსეთიდან დაფინანსებული ძალა. ამავე დროს, ეს არის იმდენად მხდალი ძალა და ისეთი სისწრაფით მოკურცხლეს აქციიდან თავის მანქანებით, რომ ორი ადამიანი შეიწირეს. ეს არის ის ხალხი, რომელსაც არ გააჩნია არც ზნეობა, არც მორალი, არც სახე. ეს არის პირდაპირ ქვეყნის მტერთან დაკავშირებული ძალა, რომლებიც აბსოლუტურად უსუსურები არიან. ერთი მხრივ, ისინი ქართულ სახელმწიფოს ვერაფერს დააკლებენ, ეს ცხადია, მაგრამ, სადამდე დაეცნენ, რამდენად ამორალურები და უზნოები არიან, პოლიტიკურ და მორალურ შეფასებას ითხოვს საზოგადოებისგან.

***— ასეთი ჩანაწერები ხელისუფლებას წინასწარ თუ ჰქონდა, რატომ არ მიიღეთ აქციის ორგანიზატორების დაკავების გადაწყვეტილება?***

— ასეთ გადაწყვეტილებას ხელისუფლება არ იღებს. ასეთ გადაწყვეტილებას იღებენ სამართალდამცავები. მე, როგორც საპარლამენტო ხელისუფლების წარმომადგენელმა, შემიძლია, მორალური და პოლიტიკური შეფასება მივცე. მე არა ვარ სამართალდამცავი. პირადად ჩემი აზრით, ეს არის აშკარად გამოხატული ქვეყნის ინტერესების ღალატი. ეს არის ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება. რაც შეეხება კრიმინალს, ის ადამიანი, რომელმაც ორი ადამიანი მანქანით გაიტანა და კიდევ რამდენიმე დააზიანა, კრიმინალია და ნაპოვნი და დაპატიმრებული უნდა იყოს, თუ უკვე არ არის დაპატიმრებული. რაც შეეხება აქციის ორგანიზატორებს, ტელევიზიით მოვისმინე, რომ არც ერთი არ არის დაკავებული.

***— აქციის ორგანიზატორებიდან საქართველოდან ვინმე არის გასული?***

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე შემიძლია, მორალური და პოლიტიკური შეფასება გავაკეთო. მორალურად და პოლიტიკურად ეს არის უზნეობა და ღალატი.

***— ამერიკის ელჩმა განცხადება გააკეთა, რომ ძალადობა არც ერთი მხრიდან არ უნდა ყოფილიყო დაშვებული...***

— ამერიკა მათთვის მტერია. ისინი 25 მაისს გულმოდგინედ ლანძღავდნენ ამერიკის ელჩს იმ განცხადების გამო, რომელიც გააკეთა. ეს განცხადება აბსოლუტურად ობიექტური იყო და იმას ამბობდა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებას პატივი უნდა სცეთ, მაგრამ მათ პატივი უნდა სცენ კანონს და არ უნდა გაამწვავონ სიტუაცია. მაგრამ მათთვის ამერიკა მტერია, მათთვის დასავლეთი მტერია. ისინი ოცნებობენ რუსეთს დამონებულ საქართველოზე.

***— რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აქციის დაშლამდე რამდენიმე დღით ადრე განცხადება გააკეთა. როგორ განვითარდება მოვლენები?***

— რამდენიმე კვირის განმავლობაში ერთსა და იმავე კომენტარს ვაკეთებ, რომ ამ ადამიანებს საქართველოში არანაირი მხარდაჭერა არა აქვთ. ეს ადამიანები არიან გაკოტრებული, უსინდისო, უზნეო პოლიტიკოსები. ყველამ კარგად ნახა, იმ ადამიანებზე, რომლებიც აქციაზე გამოვიდნენ, მათ ბედზე როგორ საუბრობდნენ, როგორ საუბრობდნენ 100 და 500 მოკლულზე, როგორ გადათელეს და საკუთარი მანქანებით როგორ გაიარეს მიტინგში. საქართველოსთვის რაც არის მნიშვნელოვანი, ნინო ბურჯანაძისთვის, პუტინისთვის და გრუ-ს სპეცრაზმისთვის ეს არის საფრთხე. ეს არ არის ქართული პოლიტიკური სპექტრის ნაწილი.

***— სატელეფონო საუბრებზე ოპოზიციის წარმომადგენლები ყოველთვის ამბობენ, რომ ფაბრიკაციაა და დამონტაჟებულია. შეიძლება, ეს ახლაც თქვან ამ ჩანაწერებზე?***

— ამაზე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ. მათი არც ერთი გეგმა არ იქნება, რომელიც ჩვენ არ გვეცოდინება. არც ერთი გეგმა, რომელსაც ისინი საქართველოს წინააღმდეგ გეგმავენ, არ იქნება ისეთი, რომელიც ჩვენ არ გვეცოდინება. ყველა ადგილი, სადაც მათ ჰგონიათ, რომ უსაფრთხოდ შეთხზავენ გეგმას საქართველოს დასამხობად, არც ერთ ამ ადგილზე არ იქნებიან უსაფრთხოდ. ბატონ ანზორ ბიწაძეს, როგორც ჩანს, დღეს, ალბათ, უკვირს, იგი იმ საუბარშივე ამბობს, რომ არა ჰგონია, მას იქ უსმენდნენ, სადაც ლაპარაკობენ სახელმწიფოს დამხობასა და კოჯრის ბატალიონთან გრუ-ს სპეცრაზმით ბრძოლაზე. ყველგან ჩვენ შევძლებთ ასეთი გეგმების განეიტრალებას. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა ისწავლონ.

***— რაც შეეხება რუსეთის რეაქციას, ელოდებით თუ არა, რომ რუსეთის საგარეო უწყება მორიგ განცხადებას გაავრცელებს აქციის დაშლასთან დაკავშირებით?***

— რა თქმა უნდა, ალბათ, რაიმე ცინიკურ განცხადებას გააკეთებენ, როგორი მნიშვნელოვანია რუსეთისთვის ადამიანის უფლებების დაცვა, როგორი მნიშვნელოვანია მათთვის აზრის გამოხატვის თავისუფლება. სინამდვილეში, საქართველოში აზრის თავისუფლად გამოხატვა არის, საქართველოში პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა არცთუ ისე ხალხმრავალი აქცია. მიუხედავად იმისა, რომ სხვა პარტიებს დროს ართმევდა 1200 თუ 1500 შეკრებილი ადამიანი, ეს გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში. ისინი იყვნენ ყველა თოქ-შოუში და ყველა ფორმატის გადაცემაში. ისინი 4 დღის განმავლობაში პირდაპირ ეთერში ითხოვდნენ პირდაპირ ეთერს, რაც სრულიად გაუგებარია ყველასთვის. თქვენ გაიგეთ, რა არის მათი მიზანი? მათი მიზანია საგანგებო მდგომარეობა, კომენდანტის საათი, დროებითი მთავრობა. თავად ჰგონიათ, რომ რევოლუციისთვის მომზადებული ჰყავთ 15%, რაც სინამდვილეში 15% ნამდვილად არ არის. არანაირი მხარდაჭერა არა აქვს რუსეთის ტანკებით საქართველოში წესრიგის დამყარებას, რუსული, პუტინური წესრიგის დამყარებას. აი, ეს უნდათ მათ და არანაირი თავისუფლება. ეს ყველაფერი ცხადია.

***— ამ მოვლენების შემდეგ კიდევ შეძლებენ თუ არა საპროტესტო მუხტის აწევასა და ხალხის გამოყვანას აქციის ორგანიზატორები?***

— ნინო ბურჯანაძე პოლიტიკურად მკვდარია! ნინო ბურჯანაძე არის ადამიანი, რომელმაც ბოლოჯერ გაიბრძოლა თავისი საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

***— რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოსვლასა და „ქართული პარტიის“ მიერ საპროტესტო აქციების დაწყებას, არის თუ არა ეს სცენარი მოსალოდნელი?***

— რუსეთი თავს არ დაგვანებებს, მაგრამ ჩვენ არ დავუშვებთ რუსეთისადმი საქართველოს დაქვემდებარებასა და დამონებას!

# რუსებმა დოკუ უმაროვი ახმეტაში აღმოაჩინეს

თეა მარხვაიძე

**ჩეჩენი მეამბოხეების ლიდერის დოკუ უმაროვის ადგილსამყოფელი რუსებმა ვერა და ვერ დაადგინეს. რუსეთის სპეცსამსახურები მასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაციებს ავრცელებენ.**

ცოტა ხნის წინ რუსულ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ უმაროვი თავს საქართველოს აფარებდა. ეს ცნობა მოგვიანებით უარყოფილ იქნა და თქვეს, რომ უმაროვი თურქეთში იყო.

ინგუშეთის სპეცსამსახურების ინფორმაციით, უმაროვი თურქეთში, თავისი ძმის ბინაში ცხოვრობდა.

ამ დღეებში რუსეთის სპეცსამსახურების შეფმა ბოროტნიკოვმა თქვა, რომ მათ კავკასიის იმამის ადგილსამყოფელი დაადგინეს. ბოროტნიკოვი ამტკიცებს, რომ უმაროვი ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიას აფარებს თავს.

გუშინ კი უმაროვის კვალს ისევ საქართველოში მიაგნეს. მეამბოხეების ლიდერი თურმე კახეთში იმყოფება.

რუსული მედიისა და უშიშროების სამსახურის მტკიცებით, ჩეჩენი მეამბოხეების ლიდერი დოკუ უმაროვი საქართველოში, კერძოდ კი ახმეტის რაიონის სოფელ ომალოში იმალება. აღსანიშნავია, რომ ახმეტის რაიონში ორი ომალოა. ერთი პანკისის ხეობაში, მეორე კი — მთათუშეთში.

ამ ინფორმაციას გამოცემა „მოსკოვსკი კომსამოლეცი“ რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურში საკუთარი საინფორმაციო წყაროს მონაცემებზე დაყრდნობით ავრცელებს. წყაროს ინფორმაციით, ცნობილია უმაროვის ზუსტი საცხოვრებელი ადგილიც. გამოცემა აღნიშნავს, რომ ეს ადგილი ქართულ ფილმ „მიმინოში“ ჩანს. ფილმ „მიმინოში“ თუშეთის ომალო ჩანს.



რუსულ გამოცემას მიაჩნია, რომ უმაროვმა დისლოკაციის ადგილი სტრატეგიულად სწორად შეარჩია.

— ერთი მხრივ, ქართულ სპეცსამსახურებს გამოადგებათ ტერორისტი-არალეგალი რუსეთიდან. მეორე მხრივ კი, სიტუაცია რუსეთსაც აწყობს. არ არის გამორიცხული, რომ უმაროვი მოლაპარაკებებში შევიდა სპეცსამსახურებთან და მისი ბანდის განადგურება რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მისი გადასვლისთვის აუცილებელი პირობა იყო, — წერს „მოსკოვსკი კომსამოლეცი“.

ამასთან, გამოცემა ვარაუდობს, რომ უმაროვმა საკუთარი თანამებრძოლები რუსეთის უშიშროების სამსახურს ჩააბარა, რათა თავად საქართველოში წასულიყო და იქ დივერსანტები მოემზადებინა.

რამდენიმე დღის წინ უშიშროების ფედერალური სამსახურის უფროსმა ალექსანდრე ბორტნიკოვმა განაცხადა, რომ რუსულმა სპეცსამსახურებმა იციან უმაროვის ადგილსამყოფელი, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, რატომ არ ხდება მისი დაკავება ან ლიკვიდაცია.

— ჩვენთვის ცნობილია უმაროვის ადგილსამყოფელი და ამ დროისთვის ვატარებთ ყველა აუცლებელ ზომას მისი დაკავებისთვის, — განაცხადა ბორტნიკოვმა.

უფრო ადრე კი რუსული სპეცსამსახურები ამტკიცებდნენ, რომ უმაროვი პანკისის ხეობაში იმყოფებოდა. სადაც ის მათი მტკიცებით მკურნალობის კურსს გადიოდა.

რუსული მხარის მტკიცებით, უმაროვი მარტის თვეში დაიჭრა. რის შემდეგაც საქართველოში გადმოიყვანეს. თურმე პანკისის ხეობაში სპეციალური ჰოსპიტალი ყოფილა ჩეჩენი ბოევიკებისთვის. სადაც ისინი მკურნალობისა და რეაბილიტაციის კურსს გადიან.

## ნინო ბურჯანაძე ორი ადამიანის გარდაცვალებაში მის ბრალეულობას ვერ ხედავს



ნინო ბურჯანაძე 26 მაისს ორი ადამიანის გარდაცვალებაში მის ბრალეულობას ვერ ხედავს. „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ სამედიცინო დასკვნის თანახმად, აქციის მონაწილე გაზით გარდაიცვალა. პოლიციის თანამშრომელი კი ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა. თუმცა, ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ავტომობილი, რომელიც პოლიციელს დაეჯახა არც მას და არც მისი ოჯახის წევრს არ ეკუთვნოდა.

— კორტეჟის ბოლოს მიმავალი ორი ავტომანქანა არც მე, არც ჩემს შვილს და არც ჩემს მეუღლეს არ ეკუთვნოდა, — დასძინა ბურჯანაძემ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით შს სამინისტრომ მორიგი განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

— 2011 წლის 26 მაისს, 00:10 საათზე, ნინო ბურჯანაძემ, თავის თანმხლებ პირებთან ერთად, ავტომობილების საშუალებით, მიატოვა რუსთაველის გამზირზე პარლამენტის წინ განთავსებული სცენის მიმდებარე ტერიტორია. ნინო ბურჯანაძის ესკორტი გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა თავისუფლების მოედნის მიმართულებით, რა დროსაც ესკორტის ორი მანქანა, რომელთაგან ერთ-ერთს მართავდა ნინო ბურჯანაძის თანაშემწე ივანე ჩილვინაძე, ხოლო მეორეს ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრი ზაქარია ზურაშვილი, შეეჯახა რამდენიმე ადამიანს. შეჯახების შედეგად, ადგილზე გარდაიცვალა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ლეიტენანტი ვლადიმერ მასურაშვილი და მოქალაქე ნოდარ ცხადაძე. ასევე სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო რამდენიმე მოქალაქემ, მათ შორის, ოთხმა პოლიციელმა, რომელთაგან ერთ-ერთის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. დაკავებისას ივანე ჩილვინაძემ და ზაქარია ზურაშვილმა თანმხლებ პირებთან ერთად პოლიციას გაუწიეს წინააღმდეგობა,— ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

## გოგი ქავთარაძეს ყურთან რეზინის ტყვია მოხვდა

მსახიობი და რეჟისორი გოგი ქავთარაძე გუშინწინ რუსთაველის გამზირზე „სახალხო კრების“ აქციის დაშლისას დაშავდა. როგორც მან „მედიანიუსს“ აცნობა, ამ წუთებში სახლში იმყოფება, თუმცა ექიმთან მისვლას გეგმავს.

— აქციის დარბევისას ყურის ქვემოთ მომხვდა რეზინის ტყვია. უფრო ახლოს რომ ყოფილიყო, შეიძლება სავალალო შედეგით დასრულებულიყო ეს ყველაფერი. ამ ეტაპზე რეზინის ტყვიას სმენის პრობლემა არ შეუქმნია. ვგეგმავ ექიმთან წასვლას, რომ გავიგო, დამიზიანა თუ არა ტყვიამ რამე, — განაცხადა გოგი ქავთარაძემ. მისი ინფორმაციით, „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს ლიდერი გია ბურჯანაძე საკუთარ სახლში იმყოფება. ამ დრომდე უცნობია სოსო ჯაჭვლიანისა და ირაკლი ბათიაშვილის ადგილსამყოფელი.

**მედიანიუსი**

# ბაღაფში თანამდებობას ტოვებს?

**რამდენიმე დღის წინ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერ სერგეი ბაღაფშს ფილტვზე სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. მოსკოვის გარეუბანში მდებარე ჰოსპიტალში მწოლიარე ბაღაფშმა ძალაუფლება ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბს გადააბარა.**

თეა მარხვაი ე

თავიდან ექიმებმა თქვეს, რომ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ბაღაფშის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება. ამის მიუხედავად, ისინი ვერ ასახელებდნენ თარიღს, თუ როდის შეძლებდა ბაღაფში სამსახურში დაბრუნებას.

24 მაისს კი რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა ბაღაფშთან დაკავშირებით სენსაციური ინფორმაცია გაავრცელეს. მათი მტკიცებით, ბაღაფშის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა.

რუსული მედიის გავრცელებული ცნობა უარყო აფხაზეთის ხელისუფლებამ. მათი თქმით, ბაღაფშის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გუშინ კი მთელმა რიგმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ ბაღაფში თანამდებობის დატოვებას აპირებს. „ლაივპრეს.გე"-ს ცნობით, აფხაზეთში უკვე დაიწყო მის შესაძლო შემცვლელზე ფიქრი.

საიტის კორესპონდენტი სოხუმიდან იუწყება, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთს ალექსანდრე ანქვაბი და რაულ ხაჯიმბა შეხვდნენ. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა და მისი დეტალების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი.

ერთ-ერთი ვერსიით, საუბარი ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს შეეხებოდა. როგორც ამბობენ, ბაღაფშს სურს, რომ მისი მემკვიდრე ანქვაბი იყოს, აფხაზი საზოგადოება კი უფრო ხაჯიმბას მხარეს იხრება.

ეს უკანასკნელი აფხაზური ოპოზიციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერია. ცოტა ხნის წინ მან საკმაოდ სკანდალური განცხადებები გააკეთა. მისი თქმით, აფხაზეთი მალე რუსეთის გუბერნია ან ავტონომია გახდება.

ხაჯიმბამ ყველაფერი ბრალად ბაღაფშს დასდო. მან ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დასანიშნად რეფერენდუმიც კი მოითხოვა.

ამ განცხადებით ხაჯიმბამ აფხაზების გული მოიგო. საუბარია იმ აფხაზებზე, რომლებიც რუსების ქმედებებით უკმაყოფილო არიან.

ქართველი ექსპერტები კი აფხაზური ოპოზიციის ლიდერის განცხადებას სერიოზულად არ უყურებენ. მათი თქმით, ეს ხაჯიმბას მხოლოდ მასების გულის მოსაგებად დასჭირდა. რუსეთს რაც შეეხება, ის მას არავითარ შემთხვევაში არ დაუპირისპირდება.

ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ის რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია. ყოველ შემთხვევაში, აქამდე მას პუტინის კარზე მიესვლებოდა. ეგ კი არა, თავის დროზე რუსეთის პრემიერმა მას პირადად დაჰკიდა უშიშროების გენერლის სამხრეები.



ეს 2004 წელს მოხდა. იმ წელს აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. კრემლი ამ არჩევნებში ხაჯიმბას უჭერდა მხარს. მაშინ აფხაზებმა შესაშური სიმტკიცე გამოიჩინეს და პრეზიდენტად ბაღაფში აირჩიეს, რომელიც რატომღაც პროაფხაზური ორიენტაციის ადამიანი ეგონა. ბაღაფში კი იმაზე პრორუსული აღმოჩნდა, ვიდრე ეს ვინმეს წარმოედგინა. ახლა ეს პრორუსული კაცი რუსულ საავადმყოფოში წევს და სასუნთქ აპარატზეა მიერთებული.

გავრცელებული ინფორმაციით, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში კენჭს სერგეი შამბაც იყრის. როგორც ამბობენ, ამჯერად ის იქნება რუსეთის ფავორიტი.

ისე, საინტერესოა, რა მოხდება საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში. შეიძლება, კენჭი სამივე მათგანმა იყაროს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2004 წელსაც სამივე იყრიდა კენჭს. უფრო სწორად, ამის სურვილი ჰქონდათ.

ანქვაბი ცესკომ რეგისტრაციაში არ გაატარა. ამის მიზეზად მას აფხაზური ენის არცოდნა დაუსახელეს. აფხაზეთის კონსტიტუციის თანახმად, პირი, რომელიც პრეზიდენტად იყრის კენჭს, აუცილებლად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას.

ვერ გეტყვით, ისწავლა თუ არა ანქვაბმა სახელმწიფო ენა, მაგრამ ის, როგორც ამბობენ, ყველაზე ნაღდი აფხაზია და რუსეთისთვის ამიტომაც არის მიუღებელი. ბოლო პერიოდში მის წინააღმდეგ რამდენიმე ტერაქტი განხორციელდა. როგორც ამბობენ, ამის უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგანან.

რუსებმა შესანიშნავად იციან ანქვაბის ხასიათი. იციან ისიც, რომ ის ნამდვილად დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობას დაიწყებს. ეს კი რუსეთს არ აწყობს.

# 26 მაისის დარბევა ჯონ ბასის კისერზეა

თეა მარხვაი ე

**26 მაისს საქართველოს მოსახლეობა მორიგი დარბევის მომსწრე გახდა. სამართალდამცავები სასტიკად გაუსწორდნენ აქციის მონაწილეებს. მათ სასტიკად სცემეს ჟურნალისტებიც.**

ამ აქციის მონაწილე გახლდათ ელიზბარ ჯაველიძეც, რომელიც ამბობს, რომ ასეთი რამ 1989 წლის 9 აპრილის დარბევის დ როსაც კი არ მომხდარა. მისი თქმით, ეს დარბევა ხალხს ვერ დააშინებს. აკადემიკოსი დარწმუნებულია, რომ ყველას მოუწევს პასუხისგება. პასუხისმგებლობას ის ამერიკის ელჩ ჯონ ბასსაც აკისრებს. მისი თქმით, შემთხვევითი არ არის, რომ დარბევა ელჩის განცხადებიდან მალევე მოხდა.

რატომ იყვნენ როდიონოვის უგულო ჯალათები უფრო ადამიანურები დარბევის დროს, ვინ არის ნამდვილი ოპოზიცია და რა როლი შეასრულა ამ დარბევაში ჯონ ბასმა, ამის შესახებ „ახალ თაობას" ელიზბარ ჯაველიძე ესაუბრება.

**ელიზბარ ჯაველიძე:**

— 25 მაისს პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე ჩემს შვილებთან და მეუღლესთან ერთად ვიყავი. კიდევ კარგი, შვილიშვილებიც არ წავიყვანე თან. აქციის მიმდინარეობის დროს ჩვენ შემოვლას რიგრიგობით ვახორციელებდით. დარბევამდე ცოტა ხნით ადრე მე მომიწია შემოვლაზე წასვლა. დავიწყე შემოვლა და საშინელი სურათის მომსწრე გავხდი. ვნახე, რომ ძნელაძის ქუჩაზე უამრავი პოლიციელი იყო თავმოყრილი. იგივე მდგომარეობა იყო თავისუფლების მოედანზე, ფურცელაძეზე, მთაწმინდაზე... მივხვდი, რომ ალყაში ვიყავით. დავიწყე რეკვა. ვურეკავდი სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრებს. არავინ მიპასუხა. სოსო ჯაჭვლიანის დავუკავშირდი მხოლოდ, ვუთხარი, ალყაში ხართ და მიიღეთ რამე გადაწყვეტილება-მეთქი. ზუსტად ამ დროს დაიწყო დარბევა. ეს ყველაფერი არის ცანცარა ჯონ ბასის ბრალი. ნიშანდობლივია, რომ დარბევა მისი განცხადების შემდეგ დაიწყო.

***— რის საფუძველზე ამბობთ, რომ ბასის განცხადების შემდეგ გადაწყვიტა ხელისუფლებამ დარბევა?***

— ეს ხელისუფლება ამერიკელების ნებართვის გარეშე ერთ ნაბიჯსაც არ დგამს. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, დარბევა ამ განცხადების შემდეგ რომ დაიწყო.

***— იმაზე რას იტყვით, რომ თქვენ აქციის ჩატარების უფლება არ გქონდათ? სახალხო კრების მიერ ორგანიზებული აქცია სანქცირებული მხოლოდ 25 მაისამდე იყო.***

— არავის განუსაზღვრავს, რომ ჩვენ იქ ყოფნის უფლება 25 მაისამდე გვქონდა. ჩვენ ამ მხრივ არაფერი დაგვირღვევია. ჩვენ აქციებს ტელევიზიის წინ ვაწყობდით, 25-ში წავედით თავისუფლების მოედანზე, პარლამენტის წინ.

***— რატომ მაინცდამაინც პარლამენტის წინ? ხომ იცოდით, რომ 26 მაისს აღლუმი უნდა ჩატარებულიყო?***

— ზუსტად იმიტომ წავედით, რომ არ გვინდოდა, აღლუმი ჩაებარებინა ე.წ. მთავარსარდალს. მას ამის უფლება არ ჰქონდა. ეს ის ადამიანია, რომელიც 2008 წელს თვითმფრინავის გამოჩენაზე მიწაზე ხოხავდა. ჩვენი პირდაპირი მიზანი იყო, რომ სააკაშვილს აღლუმი არ ჩაეტარებინა. ამის უფლება არ ჰქონდა არც იმიტომ, რომ მას ქართველების სისხლში აქვს ხელი გასვრილი. კიდევ ბევრი მიზეზის დასახელება შემიძლია, თუ რატომ არა აქვს მას აღლუმის ჩაბარების უფლება. მან გუშინ ჩვენს განზრახვასთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი და „ახსნა", თუ რატომ არ გვინდოდა, აღლუმი ჩატარებულიყო. თურმე იმიტომ გვინდოდა აღლუმის ჩაშლა, რომ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებული ჯარისკაცების გვშურდა. ეს სხვა არაფერია, თუ არა არანორმალური ადამიანის ტვინიდან გამონათება. სააკაშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მას ქართველი ხალხი ეზიზღება. ის, რაც 26 მაისს მოხდა, დარბევა არ იყო. ეს იყო სისხლიანი ანგარიშსწორება. ეს ბართლომეს ღამე იყო. შეეძლოთ, დაეჭირათ ვილაცები. მაგრამ არა, ისინი პირიქით მოიქცნენ. მოხუც ქალებს სასტიკად სცემეს. ამის კადრები არსებობს. მე უამრავ დარბევაში ვარ მოყოლილი. კარგად მახსოვს 1989 წლის 9 აპრილის დარბევა.



***— გუშინ მთელი დღის განმავლობაში კეთდებოდა განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ ეს დარბევა უფრო უარესი იყო, ვიდრე 9 აპრილისა. რატომ იყო უფრო უარესი?***

— არ დაგვავიწყდეს, რომ მაშინ აქცია დაარბია მერვე პოლკმა. ამ დანაყოფში „პრიუტში" გაზრდილი ადამიანები ჰყავდათ. ამ ხალხმა ადამიანური სითბო არ იცოდა, რა იყო. ისინი იყვნენ ძალიან დაუნდობელი ადამიანები, მაგრამ მათაც კი არ ჩაუდენიათ ასეთი რამე, რაც გუშინ მოხდა.

***— თუმცა, იმ დარბევის დროს 20 ადამიანი დაიღუპა...***

— 20 კაცი შეიწირეს იმ დაუნდობლებმა. იმათაც დატოვეს გასაქცევი გზა. 2 თუ 3 გზა დაგვიტოვეს მაშინ. ხალხმა შეძლო, თავისთვის ეშველა. ეს იყო როდიონოვის დაშლა-დარბევა. გუშინ კი ქართველმა სპეცრაზმელებმა დაგვარბიეს. ეს იყო სასტიკი ოპერაცია. სასტიკად გაუსწორდნენ იმ ადამიანებს, რომლებსაც არ უნდათ სააკაშვილი, კაცი, რომელიც არის ამ ქვეყნის უპირველესი მტერი. ის ებრძვის ქართულ ცნობიერებას, ქართულ აზროვნებას, ზნეობას, რწმენას, ენას — ყველაფერს ქართულს. არ შეიძლება, ის იყოს პრეზიდენტი. ახლა გამოდის და ამბობს, ჩვენ ეროვნული ღირსება დავიცავითო. ვინ იცავს ეროვნულ ღირსებას — სააკაშვილი? ეროვნული ღირსების პირველი ჩამკვლელია თავად. ის ქართველ ხალხს სულიერ და ფიზიკურ გენოციდს უწყობს. ის ქართველების უბედურებაზე ზეიმობს. ეს დროებითია. თქვენ ნახავთ, რომ ის წარდგება ჰააგის სასამართლოში.

***— ამის მართლა გჯერათ?***

— ასე იქნება. ყველამ იცოდეთ, რომ მას გაასამართლებენ. თუ არ წარდგა, მას ქართველი ხალხისგან ჩაუშესკუს ბედი ელოდება.

***— ხალხი ისეა დაშინებული, რომ საეჭვოა, კარგა ხანი ვინმემ გამოსვლა გაბედოს.***

— მე ამას არ ვეთანხმები. ნუ გგონიათ, რომ მან ქართველი ხალხი დაამარცხა. გუშინ მან ასეულობით ადამიანი დაიჭირა. ეს იწვევს ჩემში ზიზღსა და პროტესტის დაუცხრომელ სურვილს. მინდა, რომ საქართველო ჭეშმარიტად თავისუფალი იყოს და არა ისეთი ფასადური, როგორსაც სააკაშვილი გვთავაზობს. ეს მის შენობებს ჰგავს, გარე ფასადებს რომ ლებავს და შიგნით ყველაფერი დამპალია. აი, ეს არის მაგის დემოკრატია. სიტყვით არის დემოკრატია, ქმედებით არის სისხლისღვრა. მე მრცხვენია იმ ინტელიგენციის, რომელიც გუშინ მას ხელს ართმევდა. დაიხედონ ამ ხელზე, კარგად დაიხედონ. იქ სისხლის ლაქას დაინახავენ. ან ვინ არიან ესენი, მათ უნდა მიიღონ ღირსების ორდენი? ჭკეშმარიტი ხელოვნები დამცირებული და მიწასთან გასწორებული არიან. ეს ყველაფერი დროებითია. დარწმუნებული ვარ, რომ ამდენ უკანონობას აღარავინ მოითმენს. 26 მაისის ბართლომეს ღამის შემდეგ ასეულობით ადამიანი დაიჭირეს. ასეულობით ადამიანი დაიჭრა. ტყუილად აქვს ვინმეს იმის იმედი, რომ ხალხი დაშინდება. მხოლოდ იმაზე არ გაჩერდება ხალხი, რაც ბიძინა გეგიძეს გაუკეთეს. ადამიანი გაიტაცეს, სცემეს, მერე ბორკილები დაადეს და ასე დააგდეს სასაფლაოზე. ასეთ რამეებს ფაშისტებიც კი ერიდებოდნენ. ჩვენს ზონდერ-ბრიგადებს კი ასეთი რამეები ეხერხებათ. ესენი ვინ არიან? ეგენი დედებს არ გაუჩენიათ. ეგენი არიან გათახსირებულები. მაგათ ღმერთი მიუზღავს.

***— მოდით, თემა შევცვალოთ. რას იტყვით ოპოზიციაზე, რომელსაც მოუწოდებდით, რომ თქვენ გვერდით დამდგარიყვნენ?***

— რომელ ოპოზიციაზე მელაპარაკებით, იმ რვიანზე თუ ათიანზე? ეგ არ არის ოპოზიცია. ვისაც საქართველო უყვარს, ყველა იქ იდგა. ის, ვინც საქართველოთი ვაჭრობს, იქ არ ყოფილა. მე მეგონა, რომ ფორუმი იყო ეროვნული. თურმე მოვაჭრეები ყოფილან. ესენი ოპოზიციონერები კი არ არიან, ოპოზიციონერობენ. რამდენი ფული აქვთ ნაშოვნი, წინ დავუდებ. მე მათზე სკანდალურ ინფორმაციებს გავავრცელებ. მე ამ ხალხს ჩემს გამოსვლაში ვუწოდე თახვები.

***— რამაც ძალიან დიდი გაღიზიანება გამოიწვია...***

— განაწყენებული არიან? არა უშავს. ის ხალხი, ვინც გუშინდელ აღლუმს დაესწრო, თახვზე უარესია. მე მათზე ბევრი რამე მაქვს სათქმელი. სათქმელს აუცილებლად ვიტყვი და ხალხს სიმართლეს გავაგებინებ. მე ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებ. მე მინდა მართლა დამოუკიდებელი ქვეყანა. ამ მიზანს მივაღწევ და სულ არ მაინტერესებს ვილაცების შეფასებები.

***— რა შეფასებები?***

— გამოდიან ვილაცები და გაიძახიან, რატომ დგახარ ბურჯანაძის გვერდითო.

***— ისე, მართლა რატომ ხართ მის გვერდით?***

— ჯერ ერთი, მე ბურჯანაძის კი არა, ხალხის გვერდით ვდგავარ და არც ნინოს გვერდით მესირცხვილება დგომა, იმიტომ რომ ეს ადამიანი ბოლომდე იბრძვის. ათასი პროვოკაცია მოუწყვეს, ის კი მაინც ძუ ლომივით იდგა. ეს დასაფასებელი თვისებაა. სააკაშვილმა უნდა შეიგნოს, რომ ხალხს ვერ დააშინებს. მას ჩადენილი დანაშაულისთვის ადრე თუ გვიან სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა.

## ლეიბორისტული პარტია შსს-ს მიერ გავრცელებულ ჩანაწერს გაყალბებულად მიიჩნევს

ლეიბორისტული პარტია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოპერატიულ მასალას, რომელშიც ნინო ბურჯანაძისა და მისი შვილის ანზორ ბიწაძის საუბარია ჩაწერილი, გაყალბებულად მიიჩნევს.

როგორც გუშინ პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა პრეზიდენტის სასახლესთან გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, აღნიშნული ჩანაწერის შემოქმედი შინაგან საქმეთა სამინისტროა.

— თანამედროვე ტექნიკა ჩანაწერის მონტაჟის საშუალებას იძლევა. მით უმეტეს, ჩვენი ფულების დიდი ნაწილი სწორედ ამ ტექნიკის შეძენას მოახმარეს სააკაშვილმა და მერაბიშვილმა, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

მედიანიუსი

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# სააკაშვილმა თავის ხალხს მრისხანების დღე მოუწყო

**მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ხელმძღვანელი ეკა ბესელია 25 მაისს, ღამით, პარლამენტის წინ „სახალხო კრების" მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციის დაშლას პრეზიდენტის მიერ საკუთარი ხალხისთვის მოწყობილ მრისხანების დღეს უწოდებს.**

შორენა კოწოწაშვილი

— სააკაშვილმა მრისხანების დღე მოუწყო საკუთარ ხალხს და დაუნდობლად და გაუგონარი სისასტიკით გაუსწორდა მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს, — აცხადებს ეკა ბესელია. მისი თქმით, გაცემული იყო ბრძანება — სასტიკად გასწორებოდნენ ყველას, ქალს თუ კაცს, ასაკოვანს თუ ახალგაზრდას.



— ის, რაც ხდებოდა რუსთაველის გამზირზე და მიმდებარე ტერიტორიაზე, იყო ფაშისტური მეთოდებით ანგარიშსწორება, ზიზღით და შურისძიებით განპირობებული სადამსჯელო სპეცოპერაცია. რაც შეეხება მომხდარის სამართლებრივი შეფასებას, ცალსახაა და ცხადი, რომ ბრძანების გამცემმა და შემსრულებელმა პირებმა დაარღვიეს საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კოდექსი, — აცხადებს ეკა ბესელია.

გუშინ „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ხელმძღვანელმა აქციის დარბევასა და აქციის მონაწილეების დაკავებასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა. განცხადების ადრესატები არიან ევროკავშირის ელჩი, ევროსაბჭო, დიპლომატიური კორპუსი და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები.

განცხადებაში ნათქვამია, რომ აქციის მონაწილეთა დაშლის სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი არ არსებობს არგუმენტი, რომლითაც გამართლებული იქნებოდა მშვიდობიანი მომიტინგეების დაკავებისა და მათთვის ხელბორკილების დადების შემდეგ ფიზიკური ძალადობის განხორციელება, მათ შორის პოლიციის სამმართველოში.

განცხადების თანახმად, იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332, 143, 144(3) 147, 154 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა სპეცოპერაციის დამგეგმავი და მონაწილე პირების ქმედებაში, რაც გულისხმობს:სსკ 333 მუხლი — სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ჩადენილი ძალადობით; სსკ 143 მუხლი — თავისუფლების უკანონო აღკვეთა სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი, სსკ 144(3)- დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა ჯგუფურად ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით პოლიტიკური შეხედულებების გამო; სსკ 147 (1) მუხლი — განზრახ უკანონო დაკავება, ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა.

ამ ეტაპზე უმარავი ადამიანია დაკავებულთაგან, რომელთაც დაზიანებები აღენიშნებათ. ასევე სხვადასხვა საავადმყოფოში გადასაყვანია აქციის მონაწილეები.

— მოგმართავთ დაუყოვნებლივ რეაგირებისთვის, გთხოვთ შეაჩეროთ მასობრივი რეპრესიების და ანგარიშსწორების ტალღა და უკანონო დაპატიმრებები უდანაშაულო ადამიანების მიმართ. და მეორე: პირადად თქვენი წარმომადგენლები შეხვდეთ და მოინახულოთ დაკავებული პირები, რათა თავად დარწმუნდეთ, რა მდგომარეობაში არიან ისინი, — ნათქვამია ეკა ბესელიას განცხადებაში.

უფლებადამცველი საერთაშირისო ორგანიზაციებს და ევროსაბჭოს სთხოვს რეაგირებას, რათა შს სამინისტრომ მიაწოდოს ყველა ოჯახს ინფორმაცია დაკავებულთა ადგილსამყოფელის თაობაზე.

# სააკაშვილმა 26 მაისი ჩაწიხლა

შორენა კოწოწაშვილი

**ეროვნული მოძრაობის წევრი მამუკა გიორგაძე მიიჩნევს, რომ სახალხო კრების აქცია ფაქტობრივად გეგმის გარეშე მოქმედებდა და ის სათანადოდ ორგანიზებული არ იყო. გიორგაძე არ მალავს, რომ ბურჯანაძის პოლიტიკურ კურსს არ იზიარებს, თუმცა აქციებს ესწრებოდა, რადგანაც მიაჩნია, რომ რეჟიმის წინააღმდეგ ყველამ უნდა იბრძოლოს. რა გამოკვეთა 25 მაისს, ღამით, აქციის დარბევით სააკაშვილმა და ვინ აუნთო მას მწვანე შუქი აქციის დასარბევად? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ მამუკა გიორგაძესთან.**



*— ბატონო მამუკა, როგორ შეაფასებთ სახალხო კრების მიერ ორგანიზებულ აქცია, როცა შედეგი ცნობილა — მიტინგი დარბეულია, არის მსხვერპლი.*

— დღევანდელი გადასახედიდან ერთადერთი შეფასება შეიძლება გაკეთდეს: არაფერ შუაში არ არის არც აქცია, არც აქციის მიმდინარეობა, არც აქციის ტექნიკური თუ ორგანიზაციული მხარე. ეს სხვა საუბრის საგანია. უბრალოდ, სააკაშვილმა ძალადობრივად გააუპატიურა 26 მაისი, საქართველოს ისტორია, დღევანდელობა, წარსული, მომავალი. მან უბრალოდ ჯავრი იყარა საქართველოზე. ეს ცალკე საუბრის თემაა, ნინო ბურჯანაძე როგორ მოიქცა, რა გააკეთა, ისევე, როგორც როგორ მოიქცნენ კრების ლიდერები, მომიტინგეები და ა.შ. აქ მთავარია ის, რომ სააკაშვილმა უბრალოდ საქართველოს გადაუარა. სააკაშვილმა აჩვენა ყველას და ყველაფერს, რომ მისთვის არ არსებობს ამ ქვეყანაზე წმინდა რამ, ეს ერთი, და მეორე — მისთვის არ არსებობს ისეთი კატეგორია, როგორიც არის ქართული სახელმწიფო. სამწუხაროდ, მხოლოდ და მხლოოდ ეს დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ. ბუნებრივია, ეს ყველასთვის არის დამთრგუნველი. იმიტომ, რომ ამ საქართველოს ჭირისუფლად ვინც თავს მიიჩნევს, ეს მათი პირდაპირი გამოწვევაა, პირდაპირი შეურაცხყოფაა. სააკაშვილმა ამით კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ის ქართველ ხალხზე ძალადობს, ქართულ სახელმწიფოზე ძალადობს. და მას არ სურს საქართველოში ქართული სახელმწიფოს მშენებლობა. ეს არის გუშინდელი დღის რეალური შედეგი და ის, რაც სააკაშვილმა გააკეთა. ხოლო აქცია, ეს სხვა თემაა. ამაზე შეგვიძლია ჩვენ ვიმსჯელოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაღაცაში სწორი იყო, რაღაცაში არასწორი. შეგვიძლია შევაფასოთ ბურჯანაძის მოქმედებები და ძალიან უარყოფითი შეაფსება უნდა მოვცეთ ამას. მაგრამ მთავარი საკითხის შეფასების დროს ამ თემებს უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს.

*— გამართლებულია პრეზიდენტის მხრიდან 26 მაისს აღლუმის ასე პომპეზურად ჩატარება?*

— ამაშია სწორედ საქმე. არაორგანიზებულ ქართულ საზოგადოებას, გახლეჩილს, გაუბედურებულს, დაცლილს ღირებულებებისაგან მან გადაუხადა სამაგიერო. და აღლუმის ჩატარებით მან ქართველ ხალხს უთხრა, რომ თქვენ, როგორც ასეთი, საზოგადოება არ არსებობთ, ნუ გექნებათ პრეტენზია იმაზე, რომ უახლოეს მომავალში გახდებით სახელმწიფო, რომ არანაირი ადამიანური, მორალური და ზნეობრივი კატეგორიები არ იქნება სააკაშვილის მმართველობის პერიოდში. სააკაშვილმა აღნიშნა რა აღლუმი, ეს გააკეთა ქართველ ხალხზე გამარჯვებისთვის.

*— ხელისუფლების მტკიცებით 25 მაისს რამის 12 საათის შემდეგ სახალხო კრების აქცია უკვე არასანქცირებული იყო და მისი დაშლა კანონიერი იყო.*

— ეს უკვე არის ბელეტრისტიკა, ეს უკვე არიოს გათვლილი დასავლეთზე, გათვლილი ვილაცვილაცებზე. ამ საკითხებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ადამიანი, რომელიც არ უფრთხილდება 26 მაისს, არ უფრთხილდება იმ ღირებულებებს, რის გამოც 26 მაისი გიყვარს. ადამიანს, რომელსაც შეუძლია 26 მაისს ხელი აწიოს იმ ადგილას, სადაც ეს 26 მაისი შედგა, სადაც ამ 26 მაისის გამო ხალხმა სისხლი ღვარა, იმ ადგილას, რომელთანაც დაკავშირებულია ქართველი ერის უახლესი ისტორია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოსწავლეთა სასახლეში მაინც მოერიდე სისხლის ღვრას და იმ ადგილს, სადაც 9 აპრილი განხორციელდა. არანაირი აუცილებლობით არ იყო აქციის დარბევა გამოწვეული. ეს დარბევა იყო გამოწვეული მხოლოდ და მხოლოდ ერთი სურვილით — დაემტკიცებინა სააკაშვილს, რომ ის ქართველ ხალხზე ძლიერია. აღლუმი ჩაატარა იმის აღსანიშნავად, რომ მოუგო ქართველ ხალხს ამ ეტაპზე.

*— პრეზიდენტის განცხადებით, აღლუმის ჩაშლას გარე ძალები გეგმავდნენ აქციის ორგანიზატორების ხელით.*

— თუ გეგმავდნენ, დაიჭირე 20-ში, 21-ში, მანამდე ... ელემენტარულად აიყვანე სახლებში. სპეციალურად გაკეთდა 26 მაისს, სპეციალურად გაკეთდა სწორედ ამ დღეს, რადგან სააკაშვილს უნდოდა 26 მაისისთვის ხაზი გადაესვა. მას უნდოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ხაზი გადაესვა, მას უნდოდა, რომ ქართველი კაცის მთავარი მონაპოვრისთვის — თავისუფლებისთვის გადაესვა ხაზი. აქ თავის გამართლებები არ არის საჭირო. თუ ასეთი გეგმა არსებობდა, ეს ხალხი რატომ არის გარეთ და რატომ არ არის დაპატიმრებული. რატომ არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესები ამ თემასთან დაკავშირებით. 2007 წელსაც იყო ასეთი განცხადებები. რატომ არ არის ეს ხალხი დაპატიმრებული? რატომ არ არის მასალები წარმოდგენილი? რას ლაპარაკობს დედა-შვილი ერთმანეთში რა ტელევიზიით გამოსატანი თემაა? ე.ი. არ არსებობს არანაირი არგუმენტი და ის, რომ რუსეთი მტერია ელემენტარულად ეს ყველაზე კარგად სააკაშვილმა იცის. იმიტომ, რომ სწორედ იმ მტერმა, დასვა სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლად. მან მოიყვანა პრეზიდენტად. ყველაზე უფრო მეტად საკაშვილი თანამშრომლობს რუსეთის ხელისუფლებასთან და ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ მთელი ამ 5 წლის განმავლობაში ეს რუსული სპეცსამსახურები გეგმავენ ისეთ ოპერაციებს, რომლებიც საერთო ჯამში სააკაშვილის გამარჯვებით მთავრდება. როგორ უნდა ახსნას მან, რომ 5 წლის განმავლობაში რატომ იქცევა რუსული სპეცსამსახური ისე, როგორც ეს აწყობს სააკაშვილს, რატომ ეხმარება ამ ფორმით რუსეთის სპეცსამსახური სააკაშვილს.

*— მოდით, ბატონო მამუკა, ვისაუბროთ თვითონ აქციაზე. თქვენ თქვით ბურჯანაძის ქმედებებზე მწვავე შეფასებები შეგიძლიათ გააკეთოთ. მართლაც რუსულ ინტერესებს ატარებდა სახალხო კრების მიერ ორგანიზებული აქცია?*

— პრეტენზიები სწორედ იმიტომ გვაქვს, რომ როცა ამხელა საქმეს კიდებ ხელს და შენ თუ გულწრფელი ხარ, შენი ბუნებრივი რეაქციები უნდა იყოს ყველა იმ ქმედებაზე, რომელიც ხელისუფლებამ განახორციელა. დღეს დილით დედობრივმა ინსტინქტმა ყოველგვარი კეთილგონიერების გარეშე იმძლავრა, არ ატანდა შვილს დასაპატიმრებლად, გადაუდგა მანქანას და რასაც ბურჯანაძე აკეთებდა, ეს ბუნებრივი ინსტინქტია. ყველა დედა ასე მოიქცევა. სანამ პოლიტიკური ლიდერი ასეთი ბუნებრივი ინსტინქტებით არ ხელმძღვანელობს, მანამდე ვერ აშენდება საქართველოში ქართული სახელმწიფო. სამშობლოს განცდა, ეს ინსტინქტური სიყვარულის განცდაა. ეს აპრიორით უნდა მოდიოდეს, მას გონება არ სჭირდება. შინაგანად უნდა გქონდეს. თუ ეს შინაგანად არ გაქვს, ეს ძალიან ცუდია. გონება სჭირდება უკვე აქციის ორგანიზებას. შესაბამისად ყველაფერი უნდა იყოს დაგეგმილი, გათვლილი. ჩვენ დავინახეთ, რომ პრაქტიკულად მსგავსი არაფერი განხორციელებულა. თუნდაც ამის ნათელი მაგალითია ის, რომ გამონათქვამებით, რადიკალური პოზიციებით, ბევრ შემთხვევაში ძალადობისკენ მიმართული განცხადებებით და უნიათო ქმედებებით, პრაქტიკულად საბაბი მისცეს სააკაშვილს ძალისმიერი მეთოდის განსახორციელებლად.

*— ანუ ბურჯანაძემ რეალურად ხალხი სისხლისღვრაზე წაიყვანა?*

— სისხლისღვრაზე არ წაუყვანია. უბრალოდ აქიცია ვერ წარმართა ისე, როგორც საჭირო იყო. დარბევა არავის არ უკვირს. დარბევა არაფერი არ არის, ყველა გავლახულვართ. დაჭერა და დარბევა ჩემთვის ყოველ შემთხვევაში ეს არ არის პრემიერა და პირველად არ ვყოფილვარ ამ მდგომარეობაში. აქ ბრძოლის სწორ ფორმებზეა საუბარი. როდესაც აქცია ასეთი კუთხით მიგყავს და როცა ამბობ იმას, რომ შენ გაქვს ყველანაირი მექანიზმი იმისა, რომ ძალას დაუპირისპირებ ძალას; როცა გამოდიხარ და იძახი: კუნთმაგარი ბიჭები გააჩერებენ სპეცნაზს. როდესაც შენი ქმარი ატრიალებს ამ გაზის თუ წყლის მილებს, ელემენტარულად ტვინი ხომ უნდა მიაყოლოს იმას, ამას რა შეიძლება მოჰყვეს. აი ეს არის სწორედ აქ პრობლემა, მეტი არაფერი. ბევრ რაღაცაზე პასუხი უნდა აგონ მათ. თუ ეს ყველაფერი გათვლილი გაქვს, მაშინ ბოლომდე უნდა გქონდეს გათვლილი. თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს. დღესაც უნდა მოუწოდებდეს ხალხს, რომ ბრძოლა არ შეწყვიტონ. კი ბატონო, ვიბრძოლოთ ბოლომდე, მიუხედავად იმისა, რომ მე უარყოფითად ვარ განწყობილი ბურჯანაძის მიმართ. დღეს რომ იყოს სადმე წინააღმდეგობის წერტილი, მე ნამდვილად იქ ვიქნებოდი, იმიტომ, რომ ბრძოლაა და ბრძოლა უნდა იყოს. მაგრამ აი, ამ ნახევარ ზომებით, გაუთვლელი საუბრებით, მოსახლეობის შეცდომაში შეყვანით, რომ არსებობს რაღაც გეგმა და ა. შ. სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა. მაინტერესებს სად არის ეს გეგმა, სად არის შეფიცულების რაზმი?! მაინტერესებს, როცა ეუბნებოდნენ მოსახლეობას, რომ თქვენ მიდით და შეფიცულები დაგიცავენ და ჩვენ გვაქვს ყველანაირი ინფრასტრუქტურა იმისთვის, რომ თქვენ არაფერი მოგივიდეთ. მე ამ არასწორ ქმედებებზე ვლაპარაკობს ამ შემთხვევაში. უნდა იყო ფსიქოლოგიურად მზად იმისთვის, რომ ყველაფერზე წამსვლელ ხელისუფლებას ადეკვატური პასუხი გასცე. საერთოდ სიტყვა ადეკვატურს, მთელი ამ აქციების განმავლობაში ძალიან ხშირად ხმარობდნენ იმ კუთხით, რომ თუ ხელისუფლება გამოიყენებს ძალას, ჩვენ ვიქნებით ადეკვატური. არა ბატონო, ამ შემთხვევაში ძალას ძალა არ უნდა დაუპირისპირო, ოპოლიტიკური ქმედებები უნდა განახორციელო. არ გიშვებენ რუსთაველზე, დავდგეთ ფილარმონიასთან. თუ იქაც არ გვიშვებენ, გმირთა მოედანზე უნდა დავდგეთ. მტერმაც და მოყვარემაც უნდა დაინახოს, რომ არ ჩამკვდარა ქართული სული. რადგანაც ამხელა მისიას ილებ შენს თავზე, კეთილი უნდა ინებოდა და ამ ბრძოლისთვის მზად უნდა იყო.

*— გამოიკვეთა, რომ სახალხო კრებამ სატანადო სამოქმედო გეგმა ვერ დადო?*

— ყველაფერი გამოჩნდა. გათვლილი არაფერი არ იყო, გარდა პიარისა, გარდა რადიკალური განცხადებებისა და ჯოხების ტრიალისა და დაყენებული პოზისა, რომ შენ ბოლომდე მებრძოლი ხარ. კიდევ ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ უარყოფითადა ვარ განწყობილი ბურჯანაძის მიმართ, მე ყველა აქციაზე ვიყავი იმიტომ, რომ სურვილი მქონდა, რომ ამ ტირანიას დაპირისპირებულ ხალხთან ერთად ვყოფილიყავი. მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოახერხეს სახახლო კრების ლიდერებმა ის, რომ ქართველი საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი დაერწმუნებინათ მათ კეთილგანზრახულობაში და ვინც მივიდა აქციაზე, მათი ორგანიზებაც ვერ მოახერხა სწორი მიმართულებით.

*— ასეთი განცხადებები კეთდება, რომ აქციის ლიდერების ფაქტორმა განაპირობა მხარდამჭერთა სიმცირე.*

— არ უმაგისობაა და იმის მაგივრად, რომ შენთან ერთად ქუჩაში გამოსულ ადამიანებს, რომლებმაც არ დაივიწყეს შენი წარსული და მაინც მოვიდნენ, მათ სხვანაირი მოპყრობა სჭირდებათ. მათ დირექტორობა კი არ უნდათ, თანამებრძოლება სჭირდებათ.

*— შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს 26 მაისის ფაქტი წერტილს დაუსვამს ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ კარიერას?*

— დღეს მთავარი არ არის ბურჯანაძის კარიერა. სამწუხაროდ, დღევანდელი დღის ჩათვლით მთელი მისი საქმიანობა ქართულ პოლიტიკაში მხოლოდ უარყოფითად შეიძლება შეფასდეს, მაგრამ ყველა ადამიანს აქვს შანსი. ღმერთი ამ შანსს ყველა ადამიანს აძლევს. თუნდაც დღეს ამ სიტუაციაში ბურჯანაძეს კიდევ აქვს შანსი, თუ მის შიგნით ეს ინსტინქტი გაიღვიძებს — გენეტიკური ქართული ინსტინქტი. უფალი არ ტოვებს ადამიანს უშანსოდ, მაგრამ თვითონ ადამიანი უნდა მივიდეს უფალთან. ადამიანმა თავის თავში უნდა პოვოს ეს ძალა და კამერების წინ პოზიორობა საჭირო არ არის.

*— ბატონო მამუკა, რას იტყვით ამერკის ელჩის განცხადებაზე? ზოგიერთი თვლის, რომ ბასმა ამ გამოსვლით მწვანე შუქი აუნთო აქციის დასარბევად ხელისუფლებას.*

— ამ პოზიციას მე ნამდვილად არ ვიზიარებ, არანაირი მწვანე შუქი ამერიკას არ მიუცია. მწვანე შუქი სააკაშვილს მისცა რუსეთმა და არა ამერიკამ. რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის თავისი აგენტურის მეშვეობით, რომ საზოგადოებას აპათია დაუფლებოდა.

## ნინო ბურჯანაძე: „მაინც ამოვთხრი ამ ხელისუფლებას, ოღონდ მართლა“



ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ბრძოლის გაგრძელებას ხელისუფლების წინააღმდეგ კვლავ აპირებს.

— მაინც ამოვთხრი ამ ხელისუფლებას, ოღონდ მართლა, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, სააკაშვილს ბურჯანაძე გაქცეული ისეთ მდგომარეობაში უნდოდა ენახა, როგორშიც პრეზიდენტი ხალხმა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს იხილა.

ბურჯანაძის განცხადებით, მისი პირადი დაცვის თანამშრომლები იმიტომ დააკავეს, რომ იცავდნენ და არ მისცეს სპეცრაზმს მასთან ფიზიკურად შეხების უფლება.

ბურჯანაძე აცხადებს, რომ დაკავების არ ეშინია, ერთიც რომ დარჩეს ბოლომდე იბრძოლებს, საქართველოში თუ არა, ევროპაში სამართალს მაინც იპოვის. **ინტერპრესნიუსი**

## 26 მაისის ტრაგედია უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების კისერზეა



ტრაგედია, რომელიც გუშინ მოხდა, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების კისერზეა. ამის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა.

— დღეს, ჩვენ ყველას, დამოუკიდებლობის 20 წლისთავი უნდა გვეზეიმა, მაგრამ თითქოს ისევ ერთ ადგილს ვტკეპნით, ისევ ძალადობა, ისევ მსხვერპლი. ერთხელ და სამუდამოდ ყველამ უნდა გავიგოთ, ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი სწორი გზა სამართლიანი არჩევნებია და ამ არჩევნებისთვის ბრძოლა ღირს. მაგრამ არ ღირს ბრძოლა უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების მიზნებისთვის, — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილი მთლიანად გაუცხოვდა ქართული საზოგადოებისგან.

— ერთადერთი გზა, რომელიც მან დაიტოვა მოსახლეობასთან ურთიერთობისა, ეს ძალადობაა. ახლა ყველამ ერთად უნდა ვუპატრონოთ დაზარალებულებს, — აღნიშნა ალასანიამ. **ინტერპრესნიუსი**

## „ოპოზიციური რვიანი“ მიტინგის დარბევასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

რუსთაველის გამზირზე მიტინგის დარბევასთან დაკავშირებით, ოპოზიციური „რვიანი“ განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, 26 მაისს ღამის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ რუსთაველის გამზირზე განახორციელა მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევა, რომლის შედეგად დაკავებული და დაშავებულია ასობით დემონსტრანტი; ამ წუთის მონაცემებით, გარდაცვლილია 2 მოქალაქე.

„რვიანი“ მწუხარებას გამოთქვამს ამ ტრაგედიის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებსა და ახლობლებს.

„რვიანის“ წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციებს მასშტაბური ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დასაცავად დაუყოვნებლივ ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს.

— 26 მაისს ღამით ოპერაცია ჩატარდა ისეთი ფორმით და მეთოდებით, რომელიც მომიტინგეებს არ უტოვებდა ტერიტორიის დატოვების საშუალებას და მიზნად ისახავდა არა დემონსტრაციის კანონიერად დაშლას, არამედ აქციის რაც შეიძლება მეტი მონაწილის დაკავებას, ფიზიკურ ანგარიშსწორებას და სამაგალითოდ დასჯას. მიხეილ სააკაშვილმა, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებმა პირმა, და ამ გადაწყვეტილების შემსრულებლებმა გადააჭარბეს საკუთარ უფლებამოსილებას და კიდევ ერთხელ იძალადეს მოქალაქეებზე, რის გამოც ხელისუფლებას ეკისრება განსაკუთრებული პასუხიმგებლობა განვითარებულ მოვლენებზე. ამასთანავე, ბოლო მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რევოლუციური გზის უპერსპექტივობა და ის გაუმართლებელი რისკები, რაც ამ შემთხვევაში ჩვენს თანამოქალაქეებს და ჩვენს ქვეყანას ემუქრება, — აღნიშნავს ოპოზიციური რვიანი და დასძენს, რომ საჭიროა სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების მეტი კონსოლიდაცია, რათა დემოკრატიული სამყაროს მხარდაჭერით, სამართლიანი არჩევნებისთვის ბრძოლის გზით გადააარჩინონ ი ქვეყნის დემოკრატიული მომავალი როგორც დღევანდელი ხელისუფლებისაგან, ისე რევოლუციური რყევებისგან, — ნათქვამია განცხადებაში..

**მედიანიუსი**

# ბურჯანაძე დარბევაზე შეგნებულად წავიდა

**წუხანდელი სისხლიანი დარბევის შემდეგ სახალხო კრების ლიდერების ადგილსამყოფელი კვლავაც უცნობია. ირაკლი ბათიაშვილს, ზაზა პაპუაშვილს, გია ბურჯანაძესა და გოგი ქავთარაძეს ოჯახის წევრები ამ დრომდე უშედეგოდ ეძებენ. გავრცელებული ინფრორმაციის თანახმად, ირაკლი ბათიაშვილი ბოლო წუთებამდე რუსთაველზე იმყოფებოდა და ქალბატონებს იცავდა სპეცრაზმელებისგან. თუმცა, ამის შემდეგ ის გაუჩინარდა. ბათიაშვილის ოჯახის წევრები მთელი ღამის განმავლობაში ეძებდნენ სახალხო კრების ერთ-ერთ ლიდერს როგორც საავადმყოფოებში, ისე პოლიციის სამმართველოებში, თუმცა — უშედეგოდ.**



**ნონა ცაბა ე**

გუშინ ირაკლი ბათიაშვილის ოჯახმა და მედია-კავშირმა „ობიექტივმა“ საგანგებო განცხადება გაავრცელეს:

— როგორც განცხადებაშია ნათქვამი, „ობიექტივმა“ მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ირაკლი ბათიაშვილი დარბევისას იცავდა ქალბატონებს, რის გამოც მას შეხლა-შემოხლა მოუხდა სპეცრაზმელებთან. მას შემდეგ გაურკვეველია, ირაკლი ბათიაშვილი დაპატიმრებულია თუ საავადმყოფოში იმყოფება.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროები არანაირ ინფორმაციას არ ავრცელებენ ირაკლი ბათიაშვილის შესახებ. მათი განცხადებით, მედია-კავშირ „ობიექტივში“ მთელი ღამის განმავლობაში უამრავი ადამიანი რეკავდა და ლიდერების მდგომარეობას კითხულობდა, განსაკუთრებით კი ირაკლი ბათიაშვილის ბედით ინტერესდებოდნენ.

ირაკლი ბათიაშვილის ოჯახი და მედია-კავშირი „ობიექტივი“ საზოგადოების სახელით მოითხოვს შს სამინისტროსგან, დაუყოვნებლივ გაამხილოს მისი ადგილსამყოფელი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

რუსთაველის გამზირზე სახალხო კრების საპროტესტო აქციის დაშლა სპეცრაზმმა ღამის 12 საათის შემდეგ დაიწყო. გარდა იმისა, რომ აქციის მონაწილეების წინააღმდეგ გამოყენებული იყო წყლის ჭავლი, მხუთავი აირი და რეზინის ტყვიები, სპეცრაზმელები მომიტინგეებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ისინი მოაქციეს ალყაში და თავის დაღწევის საშუალება არ მისცეს. აქციის დარბევის შემდეგ კი მათი მასობრივი დაპატიმრება დაიწყო. ოფიციალური ინფორმაციით, დაკავებულია 90 აქციის მონაწილე, რომლებსაც სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ. თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, მათი რიცხვი გაცილებით მეტია.

„ახალი თაობა“ პატიმართა უფლებების დამცველ ნანა კაკაბაძეს ესაუბრა, რომელმაც განაცხადა, რომ ამ დროისათვის მას ზაზა პაპუაშვილი დაუკავშირდა. მისი ინფორმაციით, ზაზა პაპუაშვილი სასტიკად არის ნაცემი, რეზინის ტყვიები აქვს მოხვედრილი წვივის არეში და ამჟამად სახლში იმყოფება.

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი კი აცხადებს, რომ 26 მაისის ღამეს თბილისი გუანტანამოს ციხეს ჰგავდა. ხიდაშელი შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებობის საკითხის დაყენებას ითხოვს.

— მე რაც ჩემი თვალით ვნახე და ტელევიზიით რაც გავრცელდა, მიწაზე დაყრილი, დაკავებული დემონსტრანტები, ასეთი რამეები ჩვენ გვინახავს გუანტანამოს ციხეში. მსოფლიო მოიარა ამ კადრებმა და შეძრწუნებულია ყველა. ტერორისტებსაც კი არ ექცევიან ისე, როგორც გუშინ საკუთარ მოსახლეობას პოლიცია მოექცა. არაფერი საერთო ამას არ ჰქონდა აქციის „კანონიერ დაშლასთან“, როგორც უნდათ, რომ წარმოგვიდგინონ. ეს იყო შურისძიება განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებზე, სამაგალითო სადამსჯელო ოპერაცია ყველასთვის, ვინც ხვალ და ზეგ შეიძლება ანალოგიური ფიქრებით იყოს შეპყრობილი. ბატონი უტიაშვილი გამოდის და აცხადებს, რომ ჩვენ გვყავს 14 დაშავებული. ეს ნიშნავდა იმას, რომ ამდენი პოლიციელია დაშავებული, დანარჩენები, როგორც ჩანს, არ არიან მისი ქვეყნის მოქალაქეები. მე ვფიქრობ, რომ არა მარტო ძალის გადამეტების გამო უნდა დადგეს ამ ადამიანების პასუხისგების საკითხი, რაც უშუალოდ დარბევის ღამეს რუსთაველის გამზირზე გააკეთეს, არამედ უკვე შს სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, საკუთარი მოსახლეობის განსაცდელში მიტოვებისა და ადამიანების პანიკაში ჩაგდებისთვის, იმისთვის, რაც მთელი ღამის განმავლობაში თბილისში სუფევდა.

გუშინ განვითარებულ მოვლენებს ექსპერტი მამუკა არეშიძეც აფასებს:

— ის, რაც მე გუშინ ვნახე, იყო, ასე ვთქვათ, გვირგვინი იმისა, რაც ხდებოდა 90-იანი წლების დასაწყისში, შემდგომ პერიოდში და 2007 წლის 7 ნოემბერს. გვირგვინი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ასეთი რამ არასოდეს მინახავს დარბევაზე. ე.ი. ჩატარდა ტყვეების აყვანის ოპერაცია. დაკავებულების, ბრალდებულების, მაგრამ ტყვეების აყვანის ოპერაცია



არასოდეს მინახავს და არ მინახავს განწყობა, რომლითაც უსწორდებოდნენ ამ ადამიანებს, რომლებიც წვიმაში წყალში ეყარენ მიწაზე. მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ეს არის განსაკუთრებული ადამიანების ჯგუფი, რომლებსაც გამოცლილი აქვთ ყველა ადამიანური თვისება და ორიენტირებულები არიან მხოლოდ იმაზე, რომ შეასრულონ ნებისმიერი ბრძანება. მათთვის მნიშვნელობა არა აქვს მორალს, ტრადიციას, იდეას, კაცთმოყვარეობასა თუ თავმოყვარეობას, მათთვის მთავარია, რომ ბრძანება შეასრულონ და ამ ბრძანების შედეგი რაც იქნება, მათთვის ფულად ეკვივალენტში გამოისახება, რომელსაც ჰქვია პრემია და რომელიც საკმაოდ მაღალია. მე სხვა ახსნას ვერ ვპოულობ. არ შემიძლია, სხვანაირი ახსნა მოვუძებნო იმას, რაც ჩაიდინეს იმ ადამიანებმა. მათ ყველანაირი ადამიანური თვისება გამოცლილი აქვთ. ასევე ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ ფაქტზე — მათ კატეგორიული გაფრთხილება ჰქონდათ მიცემული, რომ ჟურნალისტებისთვის ხელი არ ეხლოთ, თუმცა, ახლეს რომელია. როგორც ჩანს, ამ შეუზღუდავმა ენერგიამ გადაუბინდა მათ თვალები და, სამწუხაროდ, ბევრი ჟურნალისტიც გაილახა. ამ ხელისუფლებამ ისეთი ტიპის ადამიანები გამოზარდა, რომლებიც თავს ველარაფერზე იკავებენ. არ კი არა, ვერ იკავებენ. როგორც ვიცი, ხელისუფლებას გათვალისწინებული ჰქონდა, რომ 7 ნოემბერი არ გამეორებულიყო, მაგრამ იმაზე უარესი გამეორდა. აქ იყო სადისტური ანგარიშსწორება იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც არ იცნობ, შენთვის არაფერი დაუშავებიათ და რომლებიც, რაც ყველაზე მთავარია, წინააღმდეგობას არ გიწევდნენ.

— ბევრი ხელს ბურჯანაძისკენ იშვერს, რომ მან გამოიწვია ხელისუფლება პროვოკაციაზე...

— ნინო ბურჯანაძეს სულ რომ ქვეყანა დაენგრია, ისე მოქცევა, როგორც სპეცსამსახურის თანამშრომლები ადამიანებს ექცეოდნენ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. რაც შეეხება ბურჯანაძეს, რა თქმა უნდა, მან იცოდა, რომ დარბევა მოხდებოდა და შეგნებულად წავიდა ამ ნაბიჯზე. ვიღაცას მოსწონს ბურჯანაძის საქციელი, ვიღაცას არ მოსწონს.

## უფლებათა დამცველები შაბათს სამოქალაქო მანიფესტაციას გამართავენ

ადამიანის უფლებათა დამცველები საზოგადოებას 28 მაისს სამოქალაქო მანიფესტაციაზე მისვლისკენ მოუწოდებენ. ამის შესახებ უფლებათა დამცველებმა ერთობლივი განცხადება გუშინ სტუდია „ობიექტივში“ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთეს.

მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ თავმჯდომარის ეკა ბესელიას თქმით, გუშინ გამთენიისას პარლამენტის შენობასთან აქციის დარბევა სამართლებრივი თვალსაზრისით, სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი მოქალაქეების მიმართ ჩადენილ დანაშაულად ფასდება.

— ის რაც მოხდა გუშინ, სისხლის სამართლის დანაშაულია. ეს იყო სამხედრო-სადამსჯელო სპეცოპერაცია ქართველი ხალხის წინააღმდეგ და ეს ფაქტი უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს, — აღნიშნა ეკა ბესელიამ.

პრესკონფერენციას ადამიანის უფლებათა სხვა დამცველებიც ესწრებოდნენ, მათ შორის, ნანა კაკაბაძე, ქეთი ბექაური, მანანა კობახიძე და ზაქარია ქუცნაშვილი.ადვოკატებმა საზოგადოებას შაბათს მდუმარე მსვლელობაში მონაწილეობისკენ მოუწოდეს, რათა ამით საკუთარი პროტესტი დააფიქსირონ.

— ქართული კანონმდებლობით მანიფესტაციებსა და შეკრებებს სანქციები არ სჭირდება. სწორედ ამიტომ, მოვუწოდებ ყველას შემოგვიერთდნენ და დავამტკიცოთ, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა შეგვიძლია, — განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა. **მედიანიუსი**

## გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტებმა მძიმე დაზიანებები მიიღეს

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟუნალისტებმა წუხელ მომხდარი დარბევისას მძიმე დაზიანებები მიიღეს. მედიაკავშირ „ობიექტივში“ აღნიშნულთან დაკავშირებით პრესკონფერენცია ჟურნალისტებმა ბექა სივსივაძემ, გიორგი მამაცაშვილმა და ჯაბა ხუბუამ გამართეს.

ბექა სივსივაძეს ზურგის არეში აღენიშნება რეზინის ტყვიებით მიყენებული მრავლობითი დაზიანებები, გიორგი მამაცაშვილი კი სპეცრაზმელების მიერ ხელკეტებით არის ნაცემი; მას გადაადგილება უჭირს.

ჟურნალისტები აცხადებენ, რომ ისინი ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას. სივსივაძის თქმით, როდესაც დარბევა დაიწყო, ისინი დაიძრნენ „თავისუფლების მოედნისკენ“, რომელიც სპეცრაზმის მიერ იყო გადაკეტილი.

— ჩვენ ვუთხარით მათ, რომ ვართ ჟურნალისტები, თუმცა მათ პირდაპირი მნიშვნელობით გაგვიხსნეს ცეცხლი, — განაცხადა სივსივაძემ. მისივე თქმით, ისინი დააკავეს და ე.წ. ყვითელ ავტობუსებში ჩასვეს.

ჟურნალისტების თქმით, მოგვიანებით, ისინი ერთ-ერთი, როგორც ისინი აცხადებენ, „სამთავრობო არხის“ ჟურნალისტმა იხსნა.

**ინტერპრესნიუსი**

## რუსეთის საგარეო უწყება სააკაშვილის ქმედებების გამოძიებას მოითხოვს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრე ლუკაშევიჩის განცხადებით, ქართველი სამართალდამცავების მიერ დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა.

— ჩვენ არ შეგვიძლია კომენტარის გარეშე დავტოვოთ ამგვარი მოვლენები, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევაზე მეტყველებს. პოლიციელები, როგორც მედიის საშუალებით ნახეთ, უკიდურესად ხისტად მოქმედებდნენ, — განაცხადა ლუკაშევიჩმა.

მისივე თქმით, საერთაშორისო საზოგადოებამ არაერთხელ გაამახვილა ყურადღება, მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ, საქართველოს ხელისუფლების მიერ ძალის გადამეტებული გამოყენების ფაქტებზე.

— ვიმედოვნებთ, რომ საქართველოში განვითარებული ბოლო მოვლენები ობიექტურ შეფასებას მიიღებენ არა მხოლოდ საერთაშორისო უფლებადამცველი სტრუქტურების მხრიდან, არამედ იმ ქვეყნების მხრიდანაც, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს მხარს უჭერენ. ოპოზიციის წინააღმდეგ, სააკაშვილის ქმედებები საერთაშორისო დონეზე სერიოზულად უნდა გამოიძიონ, — აღნიშნავს ლუკაშევიჩი.

**მედიანიუსი**

# საუკეთესო სტუდენტები ბროლის გრანპრით დაჯილდოვდნენ

ეკა ირემაშვილი

ხუთწლიანი პაუზის შემდეგ „სტუდენტურმა დღეებმა“ ვაკის პარკში სტარტი აიღო და ოთხი დღის განმავლობაში საქართველოს 30-მდე უმაღლეს სასწავლებელსა და მის სტუდენტებს დაუვიწყარი საღამოები აჩუქა.

„სტუდენტური დღეები 2011“-ის ოფიციალური გახსნა ვაკის პარკში გაიმართა და იგი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ვლადიმერ ვარძელაშვილმა საზეიმო ვითარებაში ოფიციალურად გახსნა. ცერემონიაზე ქართული ესტრადის წარმომადგენლების შესრულებით სტუდენტური დღეების ჰიმნი შესრულდა, მოძრაობის თეატრის ცეცხლოვანი შოუ და ჯგუფ „მგზავრების“ კონცერტი გაიმართა. ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზატორი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროა. ღონისძიებას საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ესწრებოდნენ. 4-დღიანი სტუდენტური ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა სახის სპორტული, გასართობი და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები ჩატარდა.

საკონკურსო დღეების განმავლობაში ახალგაზრდები ერთმანეთს მკლავჭიდში, მაგიდის ჩოგბურთში, ხალხურ და თანამედროვე ცეკვაში ეჯიბრებოდნენ. დაწესებული იყო ნომინაციები, რომლებიც გამოავლენდა საუკეთესოებს ნარდში, ჭადრაკში, შაშში, ხალხურ და საესტრადო სიმღერებში, თეატრალურ ოსტატობაში (იუმორისტული სკეტჩები, ორიგინალური სასცენო ნომრები, თეატრალური სკეტჩი), ექსტრემალურ სპორტში — ბრეიქდანსსა და ქუჩის კალათბურთში.

ღონისძიებებზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის უფასო იყო. მასში ქვეყნის 28 უმაღლესი სასწავლებლის 800-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. პროექტის ფარგლებში სტუდენტებმა სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი ქართული ტრადიციული სანახაობები გააცოცხლეს, ქართული ცეკვები დადგეს და სიმღერები შეასრულეს. როგორც სტუდენტური დღეების გახსნაზე მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა განაცხადა, თავისი მასშტაბით „სტუდენტური დღეები 2011“ უპრეცედენტო ღონისძიება იყო და მასში ქვეყნის 30-მდე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. სტუდენტური დღეების მიზანი ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სტუდენტების წახალისებაა.

„სტუდენტური დღეები 2011“-ის დასკვნითი საღამო კვლავაც ვაკის პარკში გაიმართა, სადაც გამარჯვებული სტუდენტებისა და ახალგაზრდა ჯგუფების დაჯილდოების ცერემონია ჩატარდა. 30 ნომინაციაში გამოვლენილ გამარჯვებულებს ბროლის გრანპრი გადაეცათ. სტუდენტურ ფესტივალზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში — საუკეთესო ქართული ცეკვა, საუკეთესო თანამედროვე ცეკვა, საუკეთესო მომღერალი, საუკეთესო დუეტი, საუკეთესო ტრიო, საუკეთესო ფოლკორული ჯგუფი, საუკეთესო თანამედროვე ჯგუფი, საუკეთესო თეატრალური სკეტჩი, საუკეთესო იუმორისტული ნომერი, ყველაზე ორიგინალური ნომერი, საუკეთესო ფოტოს ავტორი, საუკეთესო ნახატის ავტორი, ყველაზე კრეატიული წარმოდგენა, მხიარული თამაშების გამარჯვებული, ჟიურის სიმპათია, საუკეთესო გულშემატკივარი, ფესტივალის აქტიური სტუდენტი, ფესტივალის აღმოჩენა, ყველაზე ორგანიზებული უმაღლესი სასწავლებელი, საუკეთესო ბრეიქდანსერი, საუკეთესო ექსტრემალი, სტრითბოლის გამარჯვებული, მკლავჭიდის გამარჯვებული, ჭადრაკის გამარჯვებული, მაგიდის ჩოგბურთში გამარჯვებული, ნარდის გამარჯვებული და ყველაზე მეტჯერ ნომინანტი უნივერსიტეტი.

წლევანდელ სტუდენტურ ფესტივალზე დადგენილ ნომინაციებში გამარჯვებულები ასე გადანაწილდნენ:

ნომინაციაში ხალხური ცეკვა გაიმარჯვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მერანმა“ ცეკვით „კაური“. ნომინაციაში საუკეთესო ფოტოს ავტორი გაიმარჯვეს — პირველი ადგილი ტასო გოგიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი), მეორე ადგილზე გავიდა ნამუშევარი „ბიჭი თაროებს მიღმა“, მესამე ადგილი დაიკავა ნინო ტოფაძემ (ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი). საუკეთესო ნახატის ავტორებად დასახელდნენ — ნინო რუხაძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი), ლევან სონღულაშვილი (სამხატვრო აკადემიის სტუდენტი), თეკო ჯამალაშვილი (საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი). ჟიურისაგან სპეციალური პრიზი გადაეცა ნახატ „მეტამორფოზის“ ავტორს.

ყველაზე კრეატიული წარმოდგენის ავტორი გახდა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი ცეკვით „ქლაბერ შოუ.“ საუკეთესო თეატრალური დადგმა — საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დრამატული თეატრი „ჰიგია“ (რეჟისორი ნათია გუჯაბიძე), ყველაზე იუმორისტული ნომერი — საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, გუნდი „სოფელო“, ყველაზე ორიგინალური ნომერი — საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გლაზგო ტეშერა სიმღერით „ყვავილების ქვეყანა“. ნომინაციაში საუკეთესო თანამედროვე ცეკვა გაიმარჯვა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცეკვამ როკ-ენ-როლი, ჟიურის სიმპათია გახდა თეა ჩიტიშვილი (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ნომინაციაში კონკურსების ყველაზე აქტიური უნივერსიტეტი დასახელდა თბილისის სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნომინაციაში ფესტივალის საუკეთესო გულშემატკივარი გაიმარჯვეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა ნათია გერგაიამ და ქეთი ჭირაქაძემ. ყველაზე ორგანიზებულ უნივერსიტეტად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ხარჯავანიძე დასახელდა, საუკეთესო სოლო მომღერალი გახდა სოფო პაპუაშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), საუკეთესო ფოლკლორული ჯგუფი — თსუ ანსამბლი „გორდელა“, სტუდენტური დღეების აღმოჩენა — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ანსამბლი „ურსა“, საუკეთესო თანამედროვე ჯგუფი — შავი ზღვის უნივერსიტეტი „სანი იუნივერს“ სიმღერა „ფილ ოლ რაით“, საუკეთესო შემსრულებელი — ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელობის სახემწიფო უნივერსიტეტის ჯგუფი „ევერ გრინ“, ყველაზე მეტჯერ ნომინანტი უნივერსიტეტი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

დასახელდნენ გამარჯვებულები სპორტის სხვადასხვა სახეობებშიც — ნარდის ტურნირის გამარჯვებული გახდა გიორგი ყიფშიძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), ჭადრაკის ტურნირში ვაჟთა შორის — გაიოზ ნიგალიძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ჭადრაკის ტურნირში გოგონათა შორის — თამარ წერეთელი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), (მაგიდის ჩოგბურთის ტურნირში ვაჟთა შორის — ირაკლი სიმონიანი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), მაგიდის ჩოგბურთის ტურნირში გოგონათა შორის — მარიამ გოგოჭური (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), მკლავჭიდის ტურნირის გამარჯვებულები — ომარ კვარაცხელია (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი), იოსებ შუბითიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ნიკოლოზ საბიაშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), გიგა ზურაბიანი (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი), ვასო დათუაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).

ახალგაზრდული ფესტივალის დახურვაზე ქართული ესტრადის წარმომადგენლებმა და სტუდენტურმა ჯგუფებმა ერთობლივი კონცერტი ჩაატარეს. გრანდიოზული ღონისძიება კი ფეიერვერკმა და ღონისძიების შემდგომმა წვეულებამ დაასრულა.

# სამუზეუმო ტურიზმის განვითარება დაიწყო

ეკა ირემაშვილი

საქართველოში სამუზეუმო ტურიზმის განვითარება გადაწყვეტ ფაზაში შედის. 27 მაისს უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე ივანე ვაშაყმაძე საქართველოს ტურ-ოპერატორების, გიდებისა და ტურიზმის სფეროს სპეციალისტებისთვის გამართავს კონფერენციას სახელწოდებით „სამუზეუმო ტურიზმის განვითარება საქართველოში“.

კონფერენციის მონაწილეთა შეხვედრა სასტუმრო „რედისონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე შედგება და მოხდება მათი გასვლა უფლისციხეში, სადაც გაიმართება ექსკურსია — უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის მონახულება, მოეწყობა განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაობის პრეზენტაცია. კონფერენციის გახსნაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე ივანე ვაშაყმაძე მოხსენებით გამოვა, რასაც მოჰყვება დისკუსია თემაზე „სამუზეუმო ტურიზმის განვითარება“.

როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, სამუზეუმო ტურიზმის განვითარება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამ მიზნით ეროვნული სააგენტო ქვეყნის მთავარ მუზეუმ-ნაკრძალებში ერთდროულად გეგმავს და ახორციელებს — თანამედროვე ინტეგრირებული ინფრასტრუქტურის მოწყობას, საგანმანათლებლო პროექტების შექმნასა და განვითარებას, სამუზეუმო ფონდებისა და, შესაბამისად, საექსპოზიციო სივრცეების განახლებას. მუზეუმ-ნაკრძალების ისტორიის, მათი მნიშვნელობისა და სიმდიდრის წარმოსაჩენად უკვე გამოცემულია თანამედროვე სტანდარტის გზამკვლევები და იგეგმება მუზეუმ-ნაკრძალებისა და მათ დამცავ ზონებში არსებული არქიტექტურული კომპლექსების საპრეზენტაციო ტურები.

# საქართველოში ეკვადორის კულტურის დღეები გაიმართება

ეკა ირემაშვილი

27 მაისიდან 30 მაისის ჩათვლით საქართველო ეკვადორის კულტურის დღეებს უმასპინძლებს. ამის შესახებ საზოგადოებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ ამცნო.

ეკვადორის კულტურის დელეგაცია საქართველოს გასულ თვეში სტუმრობდა. მათ შეხვედრები გამართეს კულტურის მინისტრ ნიკოლოზ რურუასთან და გადაწყდა, რომ ჯერ საქართველო უმასპინძლებს ეკვადორის კულტურის დღეებს, ხოლო შემდეგ უკვე ეკვადორში გაიმართება საქართველოს კულტურის დღეები.

საქართველოში დაგეგმილი ეკვადორის კულტურის დღეები საინტერესო პროგრამებით იქნება დატვირთული, რადგან ეკვადორის კულტურის დღეების პროგრამა მოიცავს ადგილობრივი ფოლკლორისა და ცეკვების, ასევე ეკვადორული ფილმებისა და სპექტაკლების ჩვენებას. აღნიშნული ღონისძიების საპასუხოდ მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს კულტურის დღეები უკვე ეკვადორში გაიმართება.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება სწრაფად და ეფექტურად 5-დან 20 კგ-მდე თვეში, შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე, ჯანმრთელობისთვის უვნებლად მხოლოდ მცენარეული საშუალებებით, ინდივიდუალურად შედგენილი უახლესი პროგრამებით, სტაბილური წონის შენარჩუნებით. შედეგი გარანტირებულია 100%-ით, უკუჩვენების გარეშე. მის: დიდუბე, სამთო-ქიმია, I სართული, ოთახი №6. ტელ: 893-44-58-65; 34-02-38 ექიმი ქ-ნი დეა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

**ნათელმხილველი მანანა**
იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბაიაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
მის.: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.



# შეამოწმეთ თქვენი იუმორის გრძნობა

ტესტის შეკითხვებს დადებითი და უარყოფითი პასუხი გაეცით.

1. განაწყენდებით თუ არა, თუ გითხრეს, რომ იუმორის გრძნობა არ გაქვთ?
2. გიყვართ ანეკდოტები?
3. შეგიძლიათ უთხრათ უცნობ მამაკაცს, რომ პიჯაკი არასწორად აქვს შეკრული, ქალს კი პომადა აქვს გადღაბნილი.
4. პოულობთ თუ არა საერთო ენას ბავშვებთან?
5. გულშემატკივრობთ რომელიმე სპორტულ გუნდს?
6. გიყვართ ხატვა?
7. როდესაც გეცინებათ, ცდილობთ თუ არა სერიოზული სახის შენარჩუნებას?
8. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ საკუთარი თავი მოულოდნელ სიტუაციაში?
9. თუ გჩვევიათ მრისხანების აფეთქება?
10. თუ სარგებლობთ კამპანიის მოყვარული ადამიანის რეპუტაციით?
11. ხშირად გიფუჭდებათ ხასიათი?
12. გიხარიათ, კომპლიმენტებს რომ გეუბნებიან?

**პასუხები** დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით (გარდა მე-11 და მე-12 შეკითხვებისა).

**0-3 ქულა:** ძალიან სერიოზული ადამიანი ხართ, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას თქვენს ჯანმრთელობას. მოიხსენით მუქი სათვალე.

**4-6 ქულა:** იუმორის გრძნობა კი გაქვთ, მაგრამ იგი თქვენი დამახასიათებელი თვისება არ არის.

**7-9 ქულა:** თქვენი იუმორის გრძნობა დელიკატური და კონსტრუქციულია, ყველას ოპტიმიზმს, ენთუზიაზმს უზიარებთ.

**10-12 ქულა:** ორი ადამიანისათვის საკმარისი იუმორის გრძნობა გაქვთ. იგი საიმედოდ გიცავთ სტრესისგან.

**გ. თ.**

# იუმორი



— ოდესღაც ახალგაზრდა და ლამაზი ვიყავი, ახლა მხოლოდ ახალგაზრდა ვარ...

***

ადამი და ევა სამოთხის ბაღში მისეირნობენ. ევა ეკითხება:

— გიყვარვარ?

— სხვა რა გზა მაქვს...

***

ერთ დიდ ბებიას ეკითხებიან, პირველი შვილთაშვილის შეძენისას, რა გრძნობა დაგეუფლათო.

— ყველაფერი შესანიშნავად იყო, — უპასუხა მან, — სანამ არ მივხვდი, რომ პაპის დედა გავხდი...

***

ტაქსასაც ყურებიდან ეწყება ფეხები, მაგრამ რად გინდა...

***

— ჩემი მეზობელი კი სამი დღეა უნიტაზიდან ვერ დგება.

— რა, კუჭი აეშალა?

— არა, რადიკულიტი სჭირს...

***— დედა, იმ დეიდას ფეხზე ფეხი დავაბიჯე, ბოდიში მოვუხადე და კანფეტი მომცა.

— ყოჩაღ, მადლობა გადაუხადე?

— არა, მეორეზეც დავაბიჯე...

**გ. თ.**

# ვახტანგ მაჭავარიანი ბრწყინვალების ორდენოსანია

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა ქართველი ხელოვანები და საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა, მათ შორის — მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი, ქართული დიასპორის ხელმძღვანელი საფრანგეთში ოთარ ზურაბიშვილი, ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი არვიდას საბონისი, ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელი დავით ლორთქიფანიძე, პოეტი ტარიელ ჭანტურია, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძე, მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი, რეჟისორი დავით საყვარელიძე, მხატვარი თამარ კვესიტაძე, რეჟისორი რევაზ გაბრიაძე და ნოე ჟორდანიას შთამომავლები ნათელა ჟორდანია, რეჯებ ჟორდანია, თამარ ჩხენკელი. მათთან ერთად მიხეილ სააკაშვილმა სამ სამხედრო მოსამსახურეს ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი მიანიჭა.



ქართველი მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი საქართველოში ორი საპატიო და მეტად საპასუხისმგებლო მისიით ჩამოვიდა — 24 მაისს გორში მისი მამის, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის ხსოვნის პატივსაცემად ღონისძიებები გაიმართა და საქართველოს პრეზიდენტმა მას ბრწყინვალების ორდენი მიანიჭა.

ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის მშობლიურ ქალაქ გორში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა. ქალაქში ალექსი მაჭავარიანის სახელობის ქუჩა გაიხსნა. ქართველი კომპოზიტორის სახელი ფეიქართა ქუჩას მიენიჭა. ამის შესახებ გადაწყვეტილება გორის საკრებულომ მიმდინარე წლის 20 მაისს მიიღო. ქუჩის გახსნას კომპოზიტორის ვაჟიშვილი და ახლობლები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ქალაქის საზოგადო მოღვაწეებიც ესწრებოდნენ. ქართველი კომპოზიტორი, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალექსი მაჭავარიანი გორში დაიბადა. გარდა საკომპოზიციო მოღვაწეობისა, იგი წლების მანძილზე აქტიურად იყო ჩართული პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ალექსი მაჭავარიანის ხსოვნის პატივსაცემად გორის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში საგუნდო მუსიკის საღამო გაიმართა. ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას გორის ქალთა კამერული გუნდი, სოპრანო ირინა რატიანი, მგალობელ გოგონათა ანსამბლი „იალონი“ და ვაჟთა ანსამბლი „იმერი“ იღებდნენ, რიგით მეექვსე საერთაშორისო ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ფარგლებში ჩატარდა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელი ცნობილი ქართველი პიანისტი ალექსანდრე კორსანტიაა. აღნიშნული ფესტივალი 2006 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა აკაკი რამიშვილის ფონდ „ტრადიცია და ინოვაციასთან“ ერთად დააარსა და მისი ძირითადი მიზანია უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა შემოქმედების სამშობლოში პოპულარიზაცია, ახალგაზრდების დაინტერესება ტრადიციული და აკადემიური ხელოვნებით. ფესტივალი მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით მეექვსე წელია იმართება.

ბრწყინვალების ორდენის მინიჭებამდე საქართველოს პრეზიდენტმა 19 მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს რუსთაველისა და ეროვნული პრემიები გადასცა. პრემიები მედიცინის დარგში მოღვაწე მეცნიერებმა მიიღეს. პრემიები მიენიჭათ საოპერო მომღერალ ლადო ათანელსა და ფილოლოგ თამაზ კვაჭანტირაძეს. სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა თამაზ კვაჭანტირაძეს ტელეპროექტისათვის „მოგზაურობა სასიტყვეთში“. მიხეილ სააკაშვილის თქმით, უცხოეთში ბევრი ქართველი წარმატებით მოღვაწეობს მედიცინის სფეროში და ისინი საქართველოში უნდა დაბრუნდნენ.

# რინგო სტარმა ლივერპულელებს ბოდიში მოუხადა

ლეგენდარული ანსამბლის, „ბითლზის“ ყოფილმა წევრმა რინგო სტარმა ლივერპულის შესახებ წარმოთქმული თავისი სიტყვების გამო ბოდიში მოიხადა. 2008 წელს მუსიკოსმა განაცხადა, რომ მშობლიური ქალაქი სულაც არ ენატრება.



ამჟამად იგი დიდ ბრიტანეთში საკონცერტო ტურნესათვის ემზადება და კონცერტის გამართვას ლივერპულშიც გეგმავს.

ვიზიტის წინ მან თავისი სიტყვების განმარტება სცადა. რინგო სტარმა განაცხადა, რომ არ ეგონა, თუკი ლივერპულელებს მისი სიტყვები ეწყინებოდათ.

„ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე, ვისაც ალბათ, ჩემი სიტყვები ეწყინა, მაგრამ ნამდვილი ლივერპულელების წინაშე, — განაცხადა სტარმა, — თუმცა, ვფიქრობ, ნამდვილ ლივერპულელებს ჩემი სიტყვები არ სწყენიათ. ეწყინათ მათ, ვინც მახლობლად ცხოვრობს“.

70 წლის მუსიკოსი უკვე მრავალი წელია ლოს ანჯელესში ცხოვრობს.

მშობლიური ქალაქისადმი გულგრილობის შესახებ რინგო სტარმა „ბიბისი ფრაიდი ნაითის“ პროგრამაში ისაუბრა.

ინტერივუ ლივერპულისათვის „ევროპის კულტურული დედაქალაქი 2008“ ტიტულის მინიჭების შემდეგ შედგა. ამ კონკურსში მონაწილეობდნენ აგრეთვე დიდი ბრიტანეთის ქალაქები, ბრისტოლი, კარდიფი, ბირმინჰემი, ნიუკასლი და ოქსფორდი.

რინგო სტარი მაშინ საზეიმო ცერემონიალის საპატიო სტუმარი იყო და ცერემონიალის დროს განაცხადა „ლივერპულო, მიგატოვე, მაგრამ შენთვის არასდროს მიღალატია“.

მოგვიანებით, როდესაც ბიბისის პროგრამის წამყვანმა რინგო სტარს ჰკითხა, ლივერპული თუ გენატრებათო, რინგოს გაეცინა და უარით უპასუხა.

თუმცა, შემდეგ დაუმატა, რომ ძალაინ უყვარს ლივერპული, რადგან ამ ქალაქში გაიზარდა და მისი ოჯახი აქ ცხოვრობდა.

სამი თვის შემდეგ კი ლივერპულის რკინიგზის სადგურზე რინგო სტარის ქანდაკებას თავი მოამტვრიეს, მაშინ როდესაც სამი სხვა „ბითლზის“ ქანდაკება ხელუხლებელი დარჩა.

დიდი ხნის წინათ ნათქვამი სიტყვებისათვის ბოდიშის მოხდის დროს რინგო სტარმა განაცხადა, რომ ლივერპულს კვლავინდებურად დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის.

„აქ გავიზარდე, აქ დავდიოდი სკოლაში, ჩემმა ყრმობამ აქ ჩაიარა. სისულელე იქნებოდა, ჩემი სიტყვები რომ გწყენოდათ“ — თქვა მან.

ამჟამად სახლს, რომელშიც რინგო სტარი ცხოვრობდა, ქალაქის რეკონსტრუქციის გეგმების გამო დანგრევა ემუქრება. „ბითლზის“ თაყვანისმცემლებმა მის დასაცავად ფართო კამპანია გაშალეს.

თავად რინგო სტარს მიაჩნია, რომ მედრინ სთრითზე მდებარე მისი ძველი სახლის დანგრევა არ შეიძლება.

„ბითლზმა იმდენად ძლიერი ზეგავლენა მოახდინა არა მარტო ლივერპულზე, არამედ მთელს მსოფლიოზე, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, მივიდნენ და ნახონ, საიდან წამოვედით, რა გარემოცვიდან გამოვედით, — თქვა მან, — ვისურვებდი, რომ სახლი, რომლის გადარჩენაც ალბათ მოხერხდება, დარჩეს იქ, სადაც იგი მდებარეობს, ანუ მადრინის ქუჩის 9 ნომერში. იმასაც ამბობენ, რომ სახლი შეიძლება სხვა ადგილას გადაიტანონ, მაგრამ ეს, მე მგონი, არაფერს ნიშნავს“.

**გ. თ.**

# პორნოვარსკვლავი მკერდმა დაღუპა



პრესაში არაერთხელ გავრცელებულა ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გადაურჩენიათ მკერდის იმპლანტანტებს მათი მფლობელები ტყვიის, დანის, ან სულაც შხამიანი გველის ნაკბენისაგან. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სილიკონის იმპლანტანტები თვითმფრინავში ან ავტოკატასტროფაში გადატვირთვის შედეგად აფეთქებულან, ან დარტყმისას მფლობელისათვის სიცოცხლე შეუნარჩუნებიათ. ისიც ყოფილა, რომ მათ უსაფრთხოების ღვედების შეკვრისას შექმნიათ პრობლემები.

სწორედ ეს გარემოება გახდა 56 წლის სინტია გილინგ სთოუნის დაღუპვის მიზეზი. იგი უფრო პორნოვარსკვლავ „ველის ექოს“ მეტსახელით იყო ცნობილი.

სინტია 21 მაისს გარდაიცვალა, მისი ავტომობილს ტექსასის ერთ-ერთ გზატკეცილზე „პონტიაკი“ დაეჯახა.

მკერდის დიდი ზომის გამო სინტია უსაფრთხოების ღვედს მხოლოდ წელზე იკრავდა. დარტყმის ძალამ იგი გზაზე გადააგდო და მიღებული ტრავმების შედეგად იგი გარდაიცვალა. მის გვერდით მყოფი მგზავრი, რომელსაც ღვედი სწორად ჰქონდა შეკრული, გადარჩა.

ნაცნობების თქმით, სინტია უსაფრთხოების ღვედს მკერდზე იმიტომ არ იკრავდა, რომ არ სურდა, დაჯახების შემთხვევაში ღვედს მისი იმპლანტანტები დაეზიანებინა.

თუმცა, იმპლანტანტების ისტორიაში ისეც მომხდარა, რომ სილიკონებს პირიქით მათი მფლობელისათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. ასე მაგალითად, 2009 წელს ისრელში, მანქანას, რომლითაც მთელი ოჯახის წევრები მგზავრობდნენ, მეორე ავტომობილი პირდაპირ დაეჯახა. უსაფრთხოების ბალიში გაიშალა, ქალს მკერდზე მოხვდა და აფეთქდა. გაკვირვებულმა ექიმებმა დაადასტურეს, რომ სილიკონის იმპლანტანტებმა აფეთქების ძალა შეამცირეს და პაციენტი გადაარჩინეს. თითოეული იმპლანტანტის მოცულობა 400 მილილიტრს შეადგენდა და მათ თავად შეასრულეს უსაფრთხოების ბალიშების ფუნქცია.

**გ. თ.**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 2. უძველესი სვანური დროშა; 3. გერბების შემსწავლელი დისციპლინა; 4. დეტექტური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 5. სიმდიდრე, სიუხვე, ბარაქა; 8. საჩუქრად მირთმეული რამ; 9. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 12. ესპანური წესით დამზადებული შებოლილი ღორის ხორცი; 14. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 16. სოფელი სიღნაღის რაიონში.

**თარაზულად:** 1. ქართული მინერალური წყალი; 6. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 7. ზიარების რიტუალისთვის განკუთვნილი ოქროს ან ვერცხლის მაღალფეხიანი სასმისი ქრისტიანულ ეკლესიაში; 9. მეტალურგიული ღუმელების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 10. ტბა გაგრის რაიონში; 11. სამონასტრო კომპლექსი ყვარლის მახლობლად; 13. მდინარე რომში; 15. სპორტული საფარიკაო იარაღი; 17. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 18. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 19. ესპანური ავიაკომპანია; 20. ეგვიპტის მმართველთა ტიტული.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჩოჩორი; 2. თოიძე; 3. გრემიო; 4. სკოპიე; 6. იამაიკა; 9. ზურნა; 11. იურმალა; 15. სეიდებადი; 16. ოაზისი; 17. ყინწვისი; 19. ოლსტერი; 21. ჰოფმანი; 22. ხახამი.

**თარაზულად:** 5. სომბრერო; 7. ალიგოტე; 8. პოპოლო; 10. წურბელა; 12. ირანი; 13. ბრუტო; 14. ბონისტიკა; 18. ნამყო; 20. დავითი; 23. ჯაგერი; 24. ფაშა; 25. პასივი; 26. მუდო; 27. უნგრეთი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. უჯრედი; 2. ცემი; 3. ტრიტიკალე; 4. სუფსა; 5. ყიფიანი; 8. იდილია; 9. ბუტლეგერი; 12. ფაბულა; 14. ჩარექი; 16. უბისა.

**თარაზულად:** 1. უფლისციხე; 6. ბროწეული; 7. რეზიუმე; 9. ბენტლი; 10. იავა; 11. კლიენტი; 13. მაჩვი; 15. კაკადუ; 17. ფერწერა; 18. იუმორი; 19. აიაქსი; 20. კარიერი.

# ყოველი წელი ახალი წესებით — რეგლამენტი ისევ შეიცვალა

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — ფეხბურთის ფედერაციისა და კლუბების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე გადაწყვიტეს, რომ ჩემპიონატის რეგლამენტი ისევ დარღვეულიყო და უკვე მერამდენედ.

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში გუნდებისა და ფედერაციის ხელმძღვანელები ერთხელაც შეიკრიბნენ და ამჯერად 2011-12 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის 12-მდე გაზრდას ყველამ დაუჭირა მხარი. არადა, პირველ შეხვედრაზე წინააღმდეგი 6 გუნდი იყო (ქუთაისის „ტორპედო“, თბილისის „დინამო“, რუსთავის „ოლიმპი“, „გაგრა“, თბილისის „ლოკომოტივი“ და „ზესტაფონი“) და ახალ რეგლამენტთან თავიანთი პრეტენზიები ჰქონდათ.



ისინი ჩემპიონატის მსვლელობისას რეგლამენტის დარღვევასა და ლიგის რაოდენობის გაზრდას არ იწონებდნენ იმ დროს, როდესაც ბევრ გუნდს ფინანსური პრობლემები აქვს და არც მოედნების მდგომარეობით იყვნენ კმაყოფილნი.

ამჯერადაც ყველაზე მეტად ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და პროექტის მთავარი მოწინააღმდეგე, „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია აქტიურობდნენ, მაგრამ, ერთი კვირისგან განსხვავებით, ამჯერად ერთმანეთის მიმართ დაძაბული საუბრის ნაცვლად კეთილგანწყობით იყვნენ გამსჭვალულნი, ხუმრობდნენ და დაძაბულობა განმუხტეს. რაც მთავარია, სიჭინავას წარმოდგენილმა გარანტიებმა კოკაია დაარწმუნა, რომ პროექტის განხორციელება ჩვენს ფეხბურთსა და ჩემპიონატს არ აზარალებდა.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ინიციატივით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ ფედერაციის გენერალური სამდივნოსა და საშეჯიბრო კომიტეტის თანამშრომლები, ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელები, ფედერაციის გენერალური მდივანი და ვიცე-პრეზიდენტები. მათი ამოცანა პროექტის დამუშავება და მასში შესწორებების შეტანა იყო.

ფედერაციის გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელმა რევაზ შენგელიამ რამდენიმედღიანი მუშაობის შედეგი, პროექტის დამუშავებული და შესწორებული ვარიანტი წარადგინა. მისი თქმით, ახალი პროექტი და პრემიალური სისტემა იქნება გარანტი იმისა, რომ საუკეთესო რვა გუნდში ბოლო ადგილებზე გასულებს შორის ერთი ადგილით დაწინაურებაც სასურველი იქნება.

ზვიად სიჭინავა:

— ამ საკითხზე გუშინ მთავრობის სხდომაზე იმსჯელეს და სახელმწიფოსგან ოფიციალურად დადასტურებული და დამტკიცებული ფინანსური გარანტიები მივიღეთ, რომ 2012 წლისთვის მინიმუმ 7 მოედანი გაკეთდება. უკვე გადაწყვეტილია ფოთის სტადიონის რეკონსტრუქცია, უახლოეს დღეებში კი ბერძნული კომპანია დაიწყებს მიხეილ მესხის სტადიონის რეაბილიტაციას. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი და ფოთის მერი სტადიონების გაკეთებას საკუთარ თავზე იღებენ. სად დაიგება სხვა ახალი მოედნები, ჩემპიონატის შედეგების მიხედვით გადაწყდება. 2011 წელს პრეზიდენტის ფონდიდან დაფინანსდება ორი სტადიონის მშენებლობა, სავარაუდოდ, ბათუმსა და ზუგდიდში. 2011-2012 წლებში იგეგმება მინიმუმ 3-4 მოედნის საფარის დაგება. საერთო ჯამში, 2012 წელს მინიმუმ შვიდი მოედანი გაკეთდება.

სიჭინავამ ისიც განაცხადა, რომ „გაგრის“ პრეზიდენტ ბესო ჩიხრაძეს მიწის შეძენა და სტადიონის აშენება სურს, რაშიც სფფ-ს პრეზიდენტმა მას მთავრობასთან შუამდგომლობა აღუთქვა. გარდა ამისა, ფედერაციის თავკაცმა დამსწრეთ ამცნო, რომ პირველ ლიგაში მოასპარეზე წალენჯიხის „სქურის“ შენახვის სურვილი რუსეთში მოღვაწე ერთ-ერთმა ბიზნესმენმა გამოთქვა, რომელსაც სიჭინავა მოსალაპარაკებლად ოთხ ივნისს შეხვდება.

პრეზიდენტის თქმით, კეთდება ლაგოდეხის ბაზა და სურვილი აქვს, რეკონსტრუქცია დაბა გრიგოლეთში მდებარე ლანჩხუთის „გურიის“ ბაზასაც ჩაუტარდეს, რათა გურულებს თუნდაც აზერბაიჯანული და სომხური კლუბების მასპინძლობა შეეძლოთ, რაც, ბუნებრივია, დამატებითი შემოსავლის წყაროა. სიჭინავამ აღნიშნა, რომ ირლანდიელ ინვესტორებს, რომელთაც, სავარაუდოდ, „გურიის“ პატრონობა სურთ, განვლილი ნახევარი წლის განმავლობაში წერილების წერის მეტი არაფერი გაუკეთებიათ. მან გურიის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტ კახა ებრალიძეს პროცესის დაჩქარებისკენ მოუწოდა, თორემ, შესაძლოა, ეკონომიკის სამინისტრომ გრიგოლეთის ბაზა გაასხვისოსო.

სიჭინავამ ხაზი გაუსვა, რომ ლიცენზირების პროცესი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და, თუ უმაღლეს ლიგაში მყოფი 12 გუნდიდან რომელიმე შესაბამის პარამეტრებს ვერ დააკმაყოფილებს, მას სხვა კლუბი ჩაანაცვლებს — პირველი ლიგიდან. პრეზიდენტის განმარტებით, უმაღლეს ლიგაში კლუბებს სახელფასო ფონდი 300.000-დან 500.000 ლარამდე მაინც უნდა ჰქონდეთ, რათა ჩემპიონატის მსვლელობისას ფინანსური პრობლემები არ შეექმნათ. როგორც სხდომის მსვლელობისას გაირკვა, ფედერაციის პრეზიდენტმა და ეროვნული გუნდის თავკაცმა თემურ ქეცბაიამ მოილაპარაკეს, რომ იმ გუნდებს, რომელთაც შესაბამისი ხარისხის საფარის მქონე მოედანი არ ექნებათ, შეუძლიათ, საშინაო თამაშები ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ მოედანზე ჩაატარონ.

კოკაია შეხვედრაზე გამოვიდა წინადადებით, რომ მსაჯებს მეტი ყურადღება დაეთმოთ და, როგორც კლუბების ხელმძღვანელებმა, ასევე გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა მასმედიაში მათი ლანძღვისგან თავი შეიკავონ.

**ილია კოკაია:**

— არ მინდა, სულ ოპონირების რეჟიმში ვიყო, მაგრამ შოკში ჩავვარდი, როდესაც უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდაზე ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე გავიგე. უკეთესი იქნება, ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე მოვითათბიროთ. იმიტომ ვიყავი წინააღმდეგი, რომ სახელმწიფო აქამდეც იძლეოდა გარანტიას, მაგრამ შემდეგ რაღაცები იცვლებოდა, მაგრამ ახლა მთავრობამ გარანტიები მოგვცა და ავადმყოფი უნდა იყო კაცი, პროექტს მხარი არ დავუჭირო. სასიამოვნოა, რომ პროცესებში ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია ჩართული, რადგან ჩემპიონატთან დაკავშირებულ საკითხებში მისი მონაწილეობა ფეხბურთელებისთვის დიდი სტიმულია.

გარდა ამისა, კოკაიამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს უთხრა, რომ სასურველი იქნებოდა, თუ ოცდახუთ ივნისს გასამართ ყრილობაზე ახალარჩეულ აღმასკომში კლუბების წარმომადგენლები მოხვდებოდნენ. მისი თქმით, უხერხულია, რომ აღმასკომში არც ერთი კლუბი არ არის წარმოდგენილი, არ არის ის ხალხი, რომელსაც რეალურად შეუძლია ქართულ ფეხბურთში რაღაცის გაკეთება და რომელსაც აწუხებს ქართული ფეხბურთის ბედი.

პროექტის ახალ ვარიანტში ორი მნიშვნელოვანი ცვლილებაა: პირველ-მერვე ადგილებზე გასული გუნდები პლეი-ოფში თამაშს განახევრებული ქულების ნაცვლად ურთიერთშეხვედრებში დაგროვილი ქულებით განაგრძობენ და მე-9-მე-12-ადგილოსნებთან დაგროვილი ქულები აღარ ჩაითვლება, მომავალი ეროვნული ჩემპიონატი კი 7 აგვისტოს დაიწყება. ასე რომ, 5 ივლისს დაწყების შესაძლებლობა გამოირიცხა, რადგან თასის გათამაშებაში ჯგუფური ეტაპი გაუქმდა, სათასო შეხვედრების რაოდენობა შემცირდა და უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდები გათამაშებაში მეთექვსმეტედფინალიდან ჩაებმებიან, 2011-12 წლების ევროტურნირების მონაწილე გუნდები კი თასისთვის ბრძოლას მერვედფინალიდან დაიწყებენ.

მეთექვსმეტედფინალში გუნდები ერთმანეთს ორჯერ შეხვდებიან და გამოავლენენ 12 გუნდს, რომლებსაც მერვედფინალში ევროტურნირებში მონაწილე 4 გუნდი დაემატება. მერვედფინალიდან გუნდები ორ შეხვედრას გამართავენ (შინ და გასვლაზე), ფინალში გამარჯვებული კი, ჩვეულებისამებრ, ერთ მატჩში გამოვლინდება.

თასის გათამაშებაში გუნდები მინიმუმ ორი მატჩს გამართავენ, მაქსიმუმ — ცხრას, ევროტურნირების მონაწილე გუნდები კი — მაქსიმუმ შვიდს.

უმაღლეს ლიგაში დამრჩენი და გადმომსვლელი გუნდები 29-30 ივნისს გადათამაშებებში გაირკვევა. ორივე მატჩს ეროვნული სტადიონი უმასპინძლებს: 29 ივნისს — ცხინვალის „სპარტაკის“, საჩხერის „ჩიხურის“, 30 ივნისს კი „სამტრედიისა“ და გორის „დილის“ შეხვედრებს.

საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ პროექტის შესწორებული ვარიანტი მოიწონა, რომელიც აღმასკომის წევრებმა განიხილეს და დაამტკიცეს.

# ლეო მესი: „თანაბარძალოვანი გუნდების ფინალი გველის“



კატალონიური „ბარსელონა“ უკვე ლონდონშია და 28 მაისს გასამართი ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩისთვის ემზადება. მოთამაშეებთან და მწვრთნელებთან ერთად დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში კლუბის პრეზიდენტი სანდრო როსელიც გაემგზავრა. გუნდი „არსენალის“ საწვრთნელ ბაზაზე დაბანაკდა, სადაც მზადებას გაივლის.

ნისლიან ალბიონზე გაფრენის წინ ბარსელონელმა ფეხბურთელებმა „კამპ ნოუზე“ დახურული ვარჯიში ჩაატარეს, რომელზეც 150-მდე გულშემატკივარმა მაინც მოახერხა შეღწევა. მათ შორის რამდენიმე ჟურნალისტიც იყო, რომელთაც „ბარსელონას“ არგენტინელ ვარსკვლავ ლეო მესის ბლიც-ინტერვიუ ჩამოართვეს.

***— 2009 წელს რომში ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს“ აჯობეთ და დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვეთ. ამჯერად როგორ განვითარდება მოვლენები, ლონდონის „უემბლიზეც“ ფავორიტი „ბარსელონაა“?***

— ცალსახა ფავორიტად ჩვენს გუნდს ნამდვილად ვერ დავასახელებდი. „ბარსა“ და პირადად მე, ცხადია, კვლავინდებურად მოსაგებად გავალთ სათამაშოდ, მაგრამ, რაც რომში მოხდა, მომავალ შაბათს უნდა დავივიწყოთ. ის ფინალი უკვე ჩვენი ლამაზი ისტორიის სასიამოვნო და ემოციური ისტორიაა. წარსული „მანჩესტერ იუნატედის“ დამარცხების საქმეში ვერ დაგვეხმარება. „ბარსელონა“ პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს დაუპირისპირდება. დარწმუნებული ვარ, ამჯერად უფრო სხვა თამაში იქნება, ვიდრე ორი წლის წინ იტალიის დედაქალაქში გვქონდა. ბევრი ამტკიცებს, რომ „მანჩესტერი“ ამჟამად უკეთეს ფორმაშია. ჩემთვის ამის ან საპირისპიროს მტკიცება რთულია. ყველაფერი მინდორზე გამოჩნდება, მე კი მხოლოდ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ თანაბარძალოვანი გუნდების ფინალი გველის.

***— სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს ორიოდე სიტყვით როგორ დაახასიათებდით?***

— „ბარსელონა“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ გარკვეულწილად ერთი ყაიდის გუნდები არიან — ორივეს ბურთის კონტროლი და შეტევაში სათამაშო დროის დიდი ნაწილის გატარება უყვარს. ჩვენი საშაბათო მოწინააღმდეგის დაცვის საიმედოობაც უნდა გამოვარჩიო. „იუნაიტედის“ უკანახაზელები უკვე კარგა ხანია ერთად თამაშობენ და მათი სინქრონული მოქმედება თითქმის არასდროს ირღვევა. ერთი სიტყვით, „მანჩესტერს“ ბევრი საფეხბურთო ღირსება აქვს, მაგრამ უნაკლო გუნდი ჯერჯერობით არ ჩამოყალიბებულა. ფინალამდე დარჩენილ დროს მეტოქის შესწავლას მოვანდომებთ, ყველაფერს კარგად გავაანალიზებთ და ინგლისელთა განეიტრალების გზებსა და მეთოდებსაც დავსახავთ. უპირველესად რუნის, ჩიჩარიტოსა და ვალენსიის „ჩაკეტვაზე“ უნდა ვიზრუნოთ. წარმოუდგენელია, გუნდი, რომელმაც ინგლისური პრემიერლიგა მოიგო და ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე მიაღწია, ძალიან ძლიერი არ იყოს, მაგრამ „ბარსელონა“ ნებისმიერი რანგის ნებისმიერ მატჩში მხოლოდ მოსაგებად გადის სააასპარეზოდ.

***— როგორი განწყობით ხვდებით ლონდონურ ფინალს?***

— „უემბლიზე“ იმ განწყობით გავალ, თითქოს საფეხბურთო კარიერის ბოლო მატჩს ვატარებდე. გრძნობა კი ისეთი მაქვს, რომ აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ამის თქმის საფუძველს ჩემი პარტნიორების კლასი და განწყობა მაძლევს. თუკი „ბარსა“ ლონდონში თავის საუკეთესო თვისებებს გამოავლენს, ჩემპიონთა ლიგის თასს კიდევ ერთხელ დავეპატრონებით.

***— მოდით, პრიმერა დივიზიონზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა...***

— ინდივიდუალურ პრიზებზე მეტად ყოველთვის კოლექტიური ჯილდოების მოგება მახარებს და „ბარსას“ მორიგი გაჩემპიონება ჩემთვის ბედნიერების მომტანია, თუმცა, არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ „პიჩიჩის“ ტიტულის დაუფლებაც გულით მეწადა. კრიშტიანუ რონალდუს კი წოდებას ვულოცავ — პრიმერას ბოლო ტურებში იგი შესაშური შედეგიანობით გამოირჩა.

# შედეგები

## ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩი**

არგენტინა-პარაგვაი ............ 4:2

**ლიბერტადორესის თასი**

**ნახევარფინალი**

სანტოსი-სერო პორტენიო ............ 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

**პლეი-ოფი**

ბოხუმი-გლადბახი ............ 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრ.სოვეტოვი-ცსკა ............ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ცსკა | 9 | 5 | 3 | 1 | 17:6 | 18 |
| 2.ლოკომოტ. | 10 | 5 | 3 | 2 | 16:8 | 18 |
| 3.ყუბანი | 10 | 5 | 2 | 3 | 11:8 | 17 |
| 4.სპარტაკი | 10 | 5 | 1 | 4 | 11:11 | 16 |
| 5.ზენიტი | 10 | 4 | 4 | 2 | 15:11 | 16 |
| 6.დინამო | 10 | 4 | 4 | 2 | 14:13 | 16 |
| 7.ანჟი | 10 | 4 | 4 | 2 | 8:7 | 16 |
| 8.რუბინი | 10 | 3 | 5 | 2 | 11:9 | 14 |
| 9.ტომი | 10 | 3 | 4 | 3 | 10:12 | 13 |
| 10.როსტოვი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:12 | 11 |
| 11.ტერეკი | 10 | 3 | 2 | 5 | 5:10 | 11 |
| 12.კრასნოდ. | 10 | 2 | 5 | 3 | 8:13 | 11 |
| 13.ვოლგა | 9 | 3 | 1 | 5 | 10:8 | 10 |
| 14.ამკარი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:14 | 9 |
| 15.ნალჩიკი | 10 | 1 | 5 | 4 | 8:12 | 8 |
| 16.კრ.სოვეტ. | 10 | 1 | 4 | 5 | 5:13 | 7 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-ზალცბურგი ............ 2:4
ლინცერი-რაპიდი ............ 1:2
მატერსბურგი-ნოიშტადი ............ 1:1
რიდი-კაფენბერგი ............ 2:0
შტურმი-ინსბრუკი ............ 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ლუცერნი ............ 3:0
ბელინცონა-გრასჰოპერსი ............ 2:0
სიონი-ქსამაქსი ............ 0:0
ციურიხი-თუნი ............ 1:0
იანგ ბოიზი-სენტ გალენი ............ 4:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

**პლეი-ოფი**

აეკი-პანათინაიკოსი ............ 0:2
პაოკი-ოლიმპიაკოსი(3) ............ 5:1

**ჩეხეთი. თასი**

**ფინალი**

ბოლესლავი-სიგმა ............ 1:1(4:3პ)

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-ლეგია ............ 2:5
ვიძევი-ლეჩნა ............ 1:0
ზაგლებიე-ვისლა ............ 0:3
კორონა-გურნიკი ............ 1:0
კრაკოვია-იაგელონია ............ 3:0
ბიტომი-ლეხი ............ 1:2
პოლონია-ბელხატოვი ............ 0:0
რუხი-შლიონსკი ............ 1:2

**უკრაინა. თასი**

**ფინალი**

შახტარი-დინამო ............ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ბრონდბიუ-ნორდსიელანდი ............ 1:1
მიდტიულანდი-რანდერსი ............ 2:2
ოდენსე-კოპენჰაგენი ............ 3:0
ოლბორგი-სონდერიისკე ............ 1:2
სილკებორგი-ლუნგბიუ ............ 0:1
ესბიერგი-ჰორსენსი ............ 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-აიკი ............ 1:0
ნორჩიოპინგი-იორებრო ............ 0:2

**აშშ. მლს**

რედ ბული-კოლორადო ............ 2:2
სიეტლი-დალასი ............ 0:1
ლოს ანჯელესი-ჰიუსტონი ............ 1:0

## კალათბურთი

**ნბა. პლეი-ოფი**

**ნახევარფინალი 4 მოგებამდე**

დალასი-ოკლაჰომა ............ 100:96
სერიის ანგარიში ............ 4:1

**ამხანაგური მატჩები**

**ქალები**

ჩერნოგორია-დ.ბრიტანეთი ............ 58:80
თურქეთი-ხორვატია ............ 81:68
ესპანეთი-იაპონია ............ 74:54

## ჩოგბურთი

**როლან გაროსი**

**ქალები**

ვოზნიაცკი-ვოზნიაკი ............ 6:3;7:6
გერგესი-საფაროვა ............ 2:6;7:5;6:2
დულკო-პირონკოვა ............ 6:4;6:2
მატეკი-ლეპჩენკო ............ 6:3;2:6;6:3
როდიონოვა ან.-გალოვიცი ............ 6:1;6:4
სტოსური-ჰალეპი ............ 6:0;6:2
მარტინესი-მარინო ............ 6:2;3:6;3:6
ჰანტუჩოვა-ერანი ............ 6:1;6:2
კორნე-ლიაგოსტერა ............ ვივასი 0:6;2:6
პავლუჩენკოვა-ბარტელი ............ 6:0;7:6
კუზნეცოვა-ბეგუ ............ 6:1;6:1
იანკოვიჩი-დუშევინა ............ 6:3;6:2
პენგი-ჰერცოგი ............ 7:5;6:1
ბარტოლი-გოვორცოვა ............ 6:4;6:7;6:2
ზვონარევა-ლისიცკი ............ 4:6;7:5;7:5
სკიავონე-დოლონცი ............ 6:1;6:2

**კაცები**

ნიშიკორი-სტახოვსკი ............ 1:6;6:3;3:6;6:7
ტიპსარევიჩი-რიბა ............ 6:1;6:3;6:0
ფედერერი-ტეიშეირა ............ 6:3;6:0;6:2
ფერერი-ბენეტო ............ 6:3;6:4;6:2
მონფილსი-რუფინი ............ 6:3;1:6;6:1;6:3
პეტშნერი-დარსისი ............ 5:7;4:6;4:6
დელ პოტრო-კავჩიჩი ............ 6:3;6:2;6:4
გასკე-გრანოლერსი ............ 4:6;6:3;6:2;6:4
მონტანესი-რამირეს იდალგო 6:7;6:4;6:1;6:2
იუჟნი-კუკუშკინი ............ 6:3;7:5;6:4
ბელუჩი-სეპი ............ 6:1;6:2;6:4
ჯოკოვიჩი-ჰანესკუ ............ 6:4;6:1;6:3
გარსია ლოპესი-ილჰანი 6:4;1:6;6:2;4:6;13:11
ფონინი-რობერი ............ 6:2;6:1;6:0
ცონგა-ანდრეევი ............ 6:3;7:6;6:3
ვავრინკა-შურელი ............ 6:3;6:2;6:4

## ჰოკეი

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**ნახევარფინალი 4 მოგებამდე**

ტამპა ბეი-ბოსტონი ............ 5:4
სერიის ანგარიში ............ 3:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სპორტი

# „მანჩესტერი“ ხმაურიანი ტრანსფერებისთვის ემზადება

ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობამ გუნდის თავკაცებს ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში ხმაურიანი ტრანსფერების განხორციელების უფლება მისცა და ამისათვის ფულიც გამოუყო. გარდიანის ინფორმაციით, გლეიზერების ოჯახმა სერ ალექს ფერგიუსონს გუნდის გაძლიერების კუთხით სრული მხარდაჭერა აღუთქვა და საბანკო ანგარიშზე ამ საქმისთვის 160 მილიონი გირვანქა გადარიცხა.

ამრიგად, მადრიდის „ატლეტიკოს“ მეკარე დავიდ დე ხეას ტრანსფერი, რომლის სანაცვლოდაც მანჩესტერელებმა დაახლოებით 18 მილიონი გირვანქა უნდა გადაიხადონ, უპერსპექტივო სულაც არ ჩანს და, სავარაუდოდ, მის გარდა კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ტრანსფერი შედგება.

მიუხედავად იმისა, რომ ფერგიუსონმა დე ხეას ტრანსფერი უკვე დაადასტურა, ფეხბურთელის აგენტი ამ ინფორმაციას უარყოფს და ამბობს, რომ 30 ივნისამდე გადაწყვეტილება მიღებული არ იქნება.

— სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ „ატლეტიკოს“ მეკარე დავიდ დე ხეამ „მანჩესტერთან“ კონტრაქტი გააფორმა. ვაცხადებ, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. დე ხეა არ განიხილავს „ატლეტიკოსთან“ კონტრაქტის გახანგრძლივების წინადადებას და 30 ივნისამდე არც სხვა რომელიმე კლუბთან წამოიწყებს მოლაპარაკებას. ამ დრომდე ის მხოლოდ ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში თამაშზე იქნება კონცენტრირებული, — განაცხადა 20 წლის ესპანელი მეკარის აგენტმა.

# არსენალს ქარიმი მოუნდა

„არსენალის“ თავკაცი არსენ ვენგერი „რეალისგან“ 23 წლის ფრანგი თავდამსხმელის ქარიმ ბენზემას ყიდვას ცდილობს. მეთოფეები აცხადებენ, რომ ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე უკიდურესად აქტიურები იქნებიან. ცნობისათვის: ბენზემა დაახლოებით 35 მილიონი გირვანქა სტერლინგი ეღირება.

ბენზემას, რომელმაც გასულ სეზონში „რეალის“ შემადგენლობაში 48 შეხვედრაში 26 გოლი გაიტანა, მწვრთნელ ჟოზე მოურინიოსთან ცუდი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა.

— ქარიმის ყიდვა სულაც არ ჩანს წარმოუდგენელი. ამასთან, ბენზემა სწორედ იმ სტილის ფეხბურთელია, მე რომ მიყვარს. ის ჭკვიანია. მისი გადაადგილება კომბინაციის საშუალებას იძლევა. ამასთან, ქარიმს შეუძლია, ინდივიდუალური გარღვევებითაც მიაღწიოს შედეგს და მატჩის ბედი გადაწყვიტოს. ერთი სიტყვით, მე თუ მკითხავთ, ბენზემა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია, — განაცხადა ვენგერმა.

არსენ ვენგერს, ახალი მოთამაშეების მოზიდვის გარდა, ძველების შენარჩუნებაც სჭირდება. ასე მაგალითად, „არსენალიდან“ 25 წლის გაელ კლიში აპირებს წასვლას. კლიში, რომელიც ვენგერისა და ზემოთ ნახსენები ბენზემას თანამემამულეა, „ინტერი“ და „ბაიერნი“ ეპატიჟებიან. მას „არსენალში“ ერთი წელიწადი დარჩა გასატარებელი. მისი საბაზრო ფასი დაახლოებით 7 მილიონი გირვანქა სტერლინგია.



# ვალდანო „რეალიდან“ დათხოვნას მოურინიოს აბრალებს

მადრიდის „რეალის“ დირექტორთა საბჭომ კლუბის გენერალური დირექტორის პოსტიდან ხორხე ვალდანოს დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება დააკმაყოფილა. მარკას ცნობით, აღნიშნულ საბჭოს წინაშე წარდგომის წინ ვალდანო „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს შეხვდა და თანამდებობის დატოვების საკითხი მასთან შეათანხმა.

არსებული ინფორმაციით, აღნიშნულის მთავარი მიზეზი ვალდანოსა და „რეალის“ მთავარ მწვრთნელ ჟოზე მოურინიოს შორის არსებული უთანხმოება გახდა. შეგახსენებთ, რომ ვალდანო მადრიდელთა გენერალურ დირექტორად 2009 წლიდან მუშაობდა.

მადრიდის „რეალის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ხორხე ვალდანო „სამეფო კლუბიდან“ დათხოვნის შემდეგ ჟურნალისტებს შეხვდა და განუცხადა, რომ „რეალის“ მთავარ მწვრთნელ ჟოზე მოურინიოსთან ომში დამარცხდა.

— კლუბის დატოვება არანაირად არ მსურდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება უჩემოდ მიიღეს. აშკარაა, ვინ მოიგო ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობაც კი არ მსურდა. კლუბის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს უკვე ვესაუბრე და მან დათხოვნის მიზეზი პირდაპირ მიმანიშნა — ჟოზე მოურინიო. აი, მასთან კი უკვე დიდი ხანია არ მისაუბრია. რატომღაც თავად არიდებდა თავს. მართლა ვერ ვხვდები, რატომ იქცეოდა ასე. ყველაფრის მიუხედავად, მაინც „რეალის“ ერთგულ ჯარისკაცად ვრჩები და ამ გუნდს წარმატებებს ვუსურვებ, — ავრცელებს ვალდანოს სიტყვებს მარკა.

ესპანურ გამოცემებში ფლორენტინო პერესის კომენტარიც გავრცელდა. „რეალის“ პრეზიდენტი ადასტურებს, რომ გენერალური დირექტორის გაშვების ერთ-ერთი მიზეზი ვალდანოსა და მოურინიოს შორის არსებული არცთუ მეგობრული ურთიერთობა გახდა. პერესმა უკვე ახალი გენერალური დირექტორიც დაასახელა — ხოსე ანხელ სანჩესი.

# ლუის ენრიკე „რომაში“

იტალიური და ესპანური გამოცემების ცნობით, „რომას“ მთავარ მწვრთნელად ლუის ენრიკე დაინიშნება. გეცოდინებათ, კატალონიელთა ყოფილი ვარსკვლავი „ბარსელონა ბ“-ს წვრთნის და საკმაოდ კარგადაც — გუნდი მეოთხე ადგილზეა სეგუნდა დივიზიონში და, ვინ იცის, პრიმერაშიც ამოეყო თავი, მაგრამ „ბარსელონა ბ“-ს ამის უფლება არ აქვს. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის რეგლამენტი კრძალავს უძლიერესთა ლიგაში ერთი კლუბის ორი გუნდის ყოფნას.

38 წლის ლუის ენრიკეს „რომაში“ რთული მისია დაეკისრება — გუნდი კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს და ჩემპიონობისთვის უნდა „დაგეშოს“. შეხსენებისთვის, რომაელებმა სერია ა მეხუთე ადგილზე დაასრულეს და ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდნენ. „ჯალოროსის“ თავკაცი კვლავაც ვინჩენცო მონტელაა, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ მალე მიუთითებენ კარისკენ და შემცვლელიც ნაპოვნია — ლუის ენრიკე.

# თანამგზავრის საშუალებით ეგვიპტეში უცნობი პირამიდები აღმოაჩინეს

კოსმოსური თანამგზავრიდან გადაღებული ინფრაწითელი სურათების საშუალებით ამერიკელმა მეცნიერებმა ეგვიპტეში დღემდე უცნობი 17 პირამიდა აღმოაჩინეს.

კოსმოსიდან ინფრაწითელი სხივებით დედამიწის ზედაპირის შესწავლა იმით არის აღსანიშნავი, რომ იგი ნიადაგის ფენით დაფარული ობიექტების დანახვის შესაძლებლობას იძლევა.

ამ მეთოდის გამოყენების საშუალებით მეცნიერებმა ეგვიპტეში ათასამდე სამარხი და სამი ათასამდე უძველესი დასახლება აღმოაჩინეს.

არქეოლოგებმა „კოსმოსური აღმოჩენების“ ადგილას გათხრები უკვე დაიწყეს და წინასწარი მონაცემებით, დღემდე უცნობი ორი პირამიდის არსებობა დაადსატურეს.

თავად მეცნიერები აღიარებენ, რომ ისინი ძალიან გაოცებული დარჩნენ იმით, თუ რაოდენ მდიდარი ინფორმაციის მიღება შეძლეს მათ ინფრაწითელი სხივების საშუალებით.

ამერიკელი ექსპერტები თანამგზავრის საშუალებით 700 კმ-ის სიმაღლიდან გადაღებულ ფოტოებს სწავლობდნენ. ამასთან, თანამგზავრი დედამიწის ზედაპირზე ერთ მეტრზე ნაკლები ზომის ობიექტებს „ხედავდა“.




ინფრაწითელი სხივები მიწის ქვეშ მყოფი ობიექტების აღმოჩენის შესაძლებლობას იძლეოდნენ.

საქმე ისაა, რომ ძველი ეგვიპტელები მშენებლობისათვის თიხის აგურს იყენებდნენ. მისი სიმკვრივე ნიადაგის სიმკვრივეზე მაღალია, ამიტომ ფოტოებზე ჩანდა საცხოვრებელი სახლების, ტაძრების, სამარხების კონტურები.

თავდაპირველად ეგვიპტის ხელისუფლები მეტად სკეპტიკურად მოეკიდნენ ამერიკელი მეცნიერების გამოკვლევის შედეგებს, მაგრამ შემდეგ დაინტერესდნენ იმით, რომ არქეოლოგებმა მათ უცნობი პირამიდების სავარაუდო ადგილსამყოფელის შესახებ აცნობეს.

ეგვიპტელებმა გათხრები დაიწყეს და ისინი მეტად პერსპექტიულად მიაჩნიათ.

ამერიკელი მეცნიერების თქმით, ყველაზე საინტერესო ქალაქ ტანისთან დაწყებული გათხრები გამოდგა.

გათხრების შედეგად აღმოაჩინეს სამი ათასი წლის წინ აგებული სახლი, რომელიც თანამგზავრიდან გადაღებულ ფოტოებზე გამოჩნდა. ფოტოს კონტურები ზუსტად დაემთხვა შენობის კონტურებს, რაც ამ ტექნოლოგიის ეფექტურობაზე მიანიშნებს.

გ. თ.

# სამგლოვიარო განცხადებები

გულისტკივილით ვემშვიდობებით ჩვენს სათნო ქალბატონს

**თამარა გოგლიძეს**

დავკარგეთ უფროსი მეგობარი, კეთილშობილი, ლამაზი სულის მქონე დეიდა თამარა...

მივაცილებთ სასუფეველში ნაადრევად გადანაცვლებულ მის საფიცარ ვაჟიშვილთან... ილოცებს იქიდან მისი ოჯახის, შვილებისა და ნათესავებისათვის...

აწი ცრემლით, სინანულით, სიყვარულით მოგიგონებთ, დეიდა თამარ...

*თქვენი უმცროსი მეგობრები: დარეჯან საყვარელიძე, მანანა ხარატიშვილი, ნატა იაკობაშვილი, ნაილი ჭინჭარაული, ნინო წერეთელი, თამარ წერეთელი, მანანა ხვედელიანი, მარინა ინოზემცევა*



**რამაზ სამხარაძის მონატრება**

27 მაისს 51 წელი შეგისრულდებოდა. შენს დაბადების დღეს მეთერთმეტედ ვხვდები უშენოდ. ერთადერთი იყავი ჩვენთვის. საუბედუროდ, დედაშენმა შენს საფლავზე შემოგფიცა და შეგისრულა კიდეც, შეწყვიტა საჭმლის მიღება და სულ მალე შენთან ყოფნა „ისურვა“.

დამტოვეთ მარტო, ისღა დამრჩენია, ვილოცო თქვენთვის. ერთადერთი ჩემი ძმა ომარი, რომელიც ძალიან გიყვარდა, მარტის თვეში გარდაიცვალა.

ნათელში გამყოფოთ უფალმა.

*კუკური სამხარაძე*

ამირან მექვაბიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება აღმზრდელი პედაგოგის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, კეთილშობილი პიროვნების

**სარა კერესელიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დოდო და რომან მახარაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საყვარელი დეიდაშვილის

**გურამ მახარაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მერაბ ანთელავა, ზაირა ხორავა, მაგდა ანთელავა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი ძმისა და ბიძის

**თენგიზ ანთელავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

მეუღლე დინა ძიაპშიპა, შვილი თეა ანთელავა, სიძე გიორგი მიქაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ესტატე (თენგიზ) ანთელავა**

გამოსვენება: 28 მაისს, 14 საათზე, ვაკე-საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან.

მეუღლე შურა, შვილები ნინო და ლია, და ნუცა (ნაცო), ძმები ვასო და კოტე, შვილიშვილები დავით და ბონდო (ერეკლე) სამუშიები, იოსებ ჩიქავა, სიძე გურამ ჩიქავა, შვილთაშვილი კონსტანტინე, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბონდო აკაკის ძე სამუშია**

პანაშვიდი: 28, 29, 30 მაისს, 16 საათზე, ქ.ზუგდიდი, ბორჯომის ქუჩა II შესახვევი, №14.

გამოსვენება: სამშაბათს, 31 მაისს, 15 საათზე, ქ. ზუგდიდის, საჯვაროს უბნის, ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის შობის ტაძრიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 27 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00**, **02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძეთან **15.00** სერ. "**ხუთი და**" **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.30** ჩვენი სამართალი **19.05** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ხუთი და**" **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** წითელი ზონა **00.00** მხ. ფილმი "**გზაზე**" (18) **01.50** მოამბე **02.10** ქართული დოკუმენტალისტიკა **03.10** ან. ფილმი უფროსებისთვის "საბოლოო ფანტაზია: სულების თავდასხმა" **05.00** მხ. ფილმი "**მე დავიპყარი ციხე-სიმაგრე**"

**08.00**, **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **12.00** **14.45**, **17.45**, **23.00** ბრიფინგის დროით **10.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00**, **16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **20.00** მხ. ფილმი "**ჰოლივუდელი გამომძიებლები**" **01.00** მხ. ფ. "**ოკეანის ფსკერზე**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმნდობელი**" **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** პროფილი **18.45** სერ. "**ავრორა**" **19.45** სერ. "**ელენას მოჩვენება**" **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00** ქრონიკა **11.30** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" **23.00** ღამის შოუ **00.00** **შეგირდი** **00.30** მუსიკალური ლიგა (გან.) **01.45** ფლეიბოი იმედზე **02.15** მხ. ფილმი "**სისხლიანი მოწმე**" (ს. მაკკუინი) (სუბტ.) **04.30** მხ. ფილმი "**საბედისწერო ნიშნები**" (ნ. კეიჯი) (სუბტ.) **07.15** სერ. "**ბოშები**"

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** ფარული კამერა **16.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **21.00** გადაცემა "**105** წუთი" (პირდ.) **22.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **01.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **02.00** პულსი **02.30** მხ. ფილმი

**09.00**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.30**, **23.00** სერ. "**პეტერბურგის საიდუმლოებანი**" **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50**, **21.00** სერ. "**მონტალბანო**" **12.50** სერ. "**უკვალოდ**" **15.00**, **18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**სკოლის მეგობრები**" **19.00** მუსიკა **21.00** სერ. "**მონტალბანო**" **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" **10.00**, **19.00**, **22.00**, **00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "წინანდალი" **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** დოკ. ფილმი "ექვთიმე" **13.30** კონცერტი – ანს. "შვიდკაცა" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფ."**გაზაფხული საკენში**" **17.00** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.25** დოკ. ფილმი "ლახტის გაკვეთილი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი "**ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი**" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. ფილმი "**ბურთი და მოედანი**" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 მაისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6768

ევრო —2,3482

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7043

რუსული რუბლი — 0,0591

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-23, ღამით — 13-14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-24, ღამით — 13-14

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-17, ღამით — 5-12

## ამინდის პროგნოზი 27 მაისისთვის








წამალი “ფერდი” შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. ”ფერდი” დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი ”ფერდის” მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი “ფერდი” იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა “ფერდი”. 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ვიდიჩი და აფერისტები

„მანჩესტერ იუნაიტედის“ სერბი მცველი, 29 წლის ნემანია ვიდიჩი ამბობს, რომ შაბათს ჩემპიონთა ლიგის ფინალში მისი გუნდი ბარსელონელ აფერისტებს მოუგებს.

— მთავარია, სრული კონცენტრაციით ვითამაშოთ და მაშინ ზუსტად ის გამოვა, რაც ჩვენ გვინდა. ყურადღება კი მრავალი მიზეზითა და მიმართულებით არის საჭირო. „ბარსელონას“ ფეხბურთელებს ჩვენგან ძალიან განსხვავებული მენტალიტეტი აქვთ. ისინი, რასაკვირველია, ყველაფერზე იკამათებენ და არც სიმულაციას დააკლებენ, მაგრამ ჩვენ ამას არ უნდა ავყვეთ და მშვიდად უნდა განვაგრძოთ ჩვენი საქმე. იმედი მაქვს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში მსაჯსაც საუკეთესოს დანიშნავენ და ის ბარსელონელების ანკესზე არ წამოეგება, — განაცხადა ვიდიჩმა.

ვიდიჩს სჯერა, რომ მეტოქე მათი გუნდის ახალგაზრდა და ფიცხი ფეხბურთელების პროვოცირებას შეეცდება, რასაც ასევე დიდი თავშეკავება სჭირდება.

— ჩემი თანაგუნდელების მენტალიტეტში ეჭვი არ მეპარება. მე მათ კარგად ვიცნობ და ვენდობი, ისევე, როგორც ისინი მენდობიან მე. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ერთსულოვანი გუნდია, — დასძინა სერბმა ფეხბურთელმა.

მ. ჟ.



## ისლანდიურმა ვულკანმა ფერფლის ამოფრქვევა შეწყვიტა



ისლანდიის ვულკანმა გრიმსვოტნმა ფერფლის ამოფრქვევა შეწყვიტა, მაგრამ მის მიერ ამოფრქვეული ფერფლის ღრუბელი კვლავინდებურად ატმოსფეროში რჩება. ისლანდიელი მეტეოროლოგების თქმით, ფერფლის ამოფრქვევა კრატერიდან ჯერ კიდევ სამშაბათს ღამით შეწყდა და ამჟამად ვულკანი მხოლოდ ორთქლს აფრქვევს. ევროპის ქვეყნების საავიაციო მიმოსვლის წარმომადგენლები ფრენისათვის ვულკანური ფერფლის საშიშროებას სხვადასხვანაირად აფასებენ. ყველაზე მკაცრი წესები გერმანიაში მოქმედებს, სადაც 700-მდე რეისი გაუქმდა.

ვულკანის მიერ ამოფრქვეული ფერფლის ღრუბელი ნელ-ნელა ტოვებს დიდი ბრიტანეთის ტერიტორიას და სკანდინავიის ქვეყნების, გერმანიის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნებისაკენ ინაცვლებს.

ისლანდიური ვულკანის ფერფლმა უკვე პოლონეთს მიაღწია, მაგრამ იქ ფრენა არ შეუფერხებია, რადგან ნაწილაკების კონცენტრაცია ჰაერში ძალიან დაბალია. მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ვულკანური ფერფლის ღრუბელი ჩეხეთს მიაღწევს, მაგრამ არც იქ გამოიწვევს ფრენის შეფერხებას.

გ. თ.


# 16 მაისიდან

## იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 5

სერვანტესი

გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი


## ასტროპროგნოზი 27 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — თქვენი დღეა, იმოქმედეთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — კარგად დააკვირდით საქმის მსვლელობას, ჯერ ნუ ჩაერთვებით. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, რემონტს იწყებთ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — საკუთარ თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **სასწორი** — იმიჯის შეცვლა დროულია, ახალ სამსახურს იწყებთ. **ღრიანკალი** — ზედმეტი აქტიურობა არ ღირს, მშვიდად იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** — ცოტა ფული სხვა დროისთვის შემოინახეთ. **თხის რქა** — ჰარმონიული დღეა, საწადელს მიაღწევთ. **მერწყული** — თავი დაიცავით, თქვენი ოპონენტები გააქტიურდებიან. **თევზები** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, ნუ შეასკდებით სამუშაოს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 2. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 3. ფრანგი მწერალი ქალი; 4. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 6. ავსტრიელი კომპოზიტორი; 9. ფულის ერთეული ჩინეთში; 11. სარწმუნოებრივი ხასიათის წესჩვეულებათა ერთობლიობა; 15. რაიმე გამქრალი მოვლენის ნაშთი; 16. პოპულარული ამერიკული სიგარეტი; 17. ქალაქის მაცხოვრებლის სახელწოდება ძველად გერმანიაში; 19. ჰოლანდიური ლუდი; 21. შექსპირის ტრაგედია; 22. პერუში მცხოვრები ინდიელთა ტომი.

**თარაზულად:** 5. მცირე ამპლიტუდის რხევები; 7. კიდული, ლიანდაგზე მოძრავი ტვირთის ასაწევი მექანიზმი; 8. აეროპორტი პრაღაში; 10. განყოფილების სათაური გაზეთში, ჟურნალში; 12. თეთრი ფერის, ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 13. პოლიგრაფიაში გამოყენებული ლითონის ფირფიტაზე რელიეფურად გამოყვანილი სურათის ან ნახატის პირი; 14. კიდული რკინიგზა; 18. ფრანგი მწერალი; 20. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 23. მწვავე სისხლნაკლებობა; 24. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 25. კურორტი, ნავსადგური, ღვინის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ესპანეთში; 26. მტვერსასრუტის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 27. პროდუქციაზე დაკრული სავაჭრო ნიშანი.

*შეადგინა: თ. კოპალეიშვილმა*

